გამოცემის 104-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკეობით

№46 (25.174) 29 ნოემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, მთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

# ბათუმმა კიდევ ერთი ტურიზმის „ოსკარი“ მოიპოვა

ხატია იაშვილი 555 18 48 88



***პორტუგალიის, კუნძულ მადეირაზე გამართულ World Travel Awards - ის გალა ცერემონიაზე, ბათუმი მსოფლიოს ყველა სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა.*** პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად ბათუმმა კონკურენცია გაუწია ისეთ ქალაქებს, როგორებიცაა მელბორნი (ავსტრალია), ოსლო (ნორვეგია), ჟენევა (შვეიცარია), მიუნხენი (გერმანია), ასპენი (აშშ), ბეიჯინი (ჩინეთი) და ვისლერი (კანადა).

World Travel Awards-ზე, ასევე, გამოვლინდა 2024 წელს, მსოფლიოს საუკეთესო ტურისტული მიმართულებები, ქვეყნები, სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ტურისტული ატრაქციები და სატრანსპორტო კომპანიები. „ბათუმი მუდმივად ვითარდება, აჭარის რეგიონს აქვს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები, რომლებიც მიმზიდველია, როგორც ტურისტული და საინვესტიციო მიმართულება 4 სეზონის განმავლობაში. ეს, ბუნებრივია, ყურადღების მიღმა არ რჩება და 'ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების' სტატუსის შემდეგ, ბათუმმა მიიღო ახალი აღიარება და მსოფლიოს ტურიზმის დაჯილდოების ცერემონიაზე დასახელდა, როგორც ყველა სეზონის წამყვანი ტურისტული მიმართულება. აღნიშნული ჯილდო მნიშვნელოვანია, რათა ჩვენი ქალაქისადმი ჩამოყალიბდეს უფრო მეტი ნდობა ვიზიტიორებსა და ინვესტორებში. ეს აღიარება ხელს უწყობს ბათუმის პოპულარიზაციას და ცნობადობის ამაღლებას მსოფლიო მასშტაბით. ვულოცავ ბათუმს და ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთ პრესტიჟულ ჯილდოს და საერთაშორისო აღიარებას“, - განაცხადა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე ქრისტინე ძიძიგურმა.

ბათუმის ჯილდოს ეხმიანება World Travel Awards-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი გრეჰ კუკი. „ვულოცავ ბათუმს გამარჯვებას - ყველა სეზონის ტურისტული მიმართულების ჯილდოს მოპოვებას, რაც მოიაზრებს თქვენი ქალაქისა და ზოგადად, საქართველოს ტურისტულ მიმზიდველობას წლის ნებისმიერ დროს, იქნება ეს გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი. ეს არის ქვეყანა, რომელმაც თავისი კლიმატით, სტუმართმოყვარე ხალხით, ტურისტული პოტენციალით, მზარდი მიმართულებიდან მოწინავე პოზიციაზე გადმოინაცვლა. ყველას გილოცავთ ამ წარმატებას. მოგზაურები ეძებენ სიახლეებს - სათავგადასავლო თუ ველნეს ტურიზმი, ქვეყნის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა, ბუნებრივი რესურსები და, რაც, მთავარია ხალხი - რომელიც საქართველოს უდიდესი სიმდიდრე გახლავთ. თქვენს ქვეყანას ახასიათებს გამორჩეული სტუმართმოყვარეობა და განსაკუთრებული კულინარია. მე და ჩემს გუნდს კარგად გვახსოვს შარშანდელი დახვედრის გამოცდილება, როდესაც ბათუმს ვესტუმრეთ. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ქვეყანასთან შეხება იწყება ჩასვლისთანავე მიღებული გამოცდილებით და სრულდება ქვეყნიდან გამგზავრებისას. ჩვენი ისტორიის განმავლობაში კი სწორედ ბათუმში გვქონდა ასეთი დახვედრა და ასეთივე გაცილება. სწორედ ამიტომ, უდავოდ, ბათუმი და საქართველო არის ის ადგილი, რომელსაც ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით“.

2019 წლიდან დღემდე, ბათუმმა World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდო 6-ჯერ მოიპოვა. თავდაპირველად, როგორც ევროპის, ხოლო მოგვიანებით, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ. 2023 წელს კი მსოფლიოს ტურიზმის დაჯილდოების ევროპის გალა ცერემონიაზე, რომელსაც აჭარამ უმასპინძლა, ბათუმი, აჭარა ევროპის ოთხი სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა.

# ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო მუშაობას შეუდგა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***26 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომას, რომელსაც მხოლოდ პარტია „ქართული ოცნების“ სიით არჩეული 13 წევრი ესწრებოდა, უხუცესი წევრი დავით თედორაძე უძღვებოდა***



უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად, სხდომაზე დროებითი ხმის დამთვლელი და სამანდატო კომისიები შეიქმნა. აღნიშნულმა კომისიებმა პირველი სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგის ამოწურვისთანავე შეწყვიტა საქმიანობა. სამანდატო კომისიამ ცესკოს თავმჯდომარისგან მიღებული უმაღლესი საბჭოს წევრთა დოკუმენტაცია შეისწავლა, დადგენილებაში ასახა, შემდეგ კი წარდგენილი ერთიანი სიის უფლებამოსილება ცნო. აღნიშნულის შემდეგ დარბაზში გაჟღერდა საქართველოს ჰიმნი. სხდომაზე, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, დეპუტატებმა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ დავით გაბაიძე აირჩიეს. ასევე ერთხმად დაამტკიცეს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე რამაზ ჯინჭარაძე, რომელიც მანამდე ბათუმის საკრებულოს ხელმძღვანელი გახლდათ. გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა კოლეგებს დავით გაბაიძემ და აღნიშნა, რომ მზად არის, დაუღალავად ემსახუროს თავის ხალხს, რეგიონს და ქვეყანას. უმაღლესი საბჭოს ახალარჩეულმა ხელმძღვანელმა ოპოზიციონერი კოლეგების პროტესტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სურათი, რასაც ახლა ოპოზიცია ქმნის, არაერთხელ აქვთ ნანახი.

- კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ამომრჩეველს, ვინც არჩევანი ჩვენი გუნდის სასარგებლოდ გააკეთა. ასევე, მადლობას ვეტყვი ჩემს კოლეგებს, რომ კიდევ ერთხელ მომეცემა შესაძლებლობა, ვუხელმძღვანელო რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს. ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი პატივი და ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც, რომელიც ბოლომდე გაცნობიერებული მაქვს. შესაბამისად, შევეცდები, ღირსეულად ვატარო ეს ტვირთი. რაც შეეხება ოპოზიციონერი დეპუტატების განცხადებებს, 2020 წლის მოწვევაშიც ასე იყო, პირველი თვეები არ შემოვიდნენ ჩვენი ოპონენტები, თუმცა ვიცით, რომ შემდგომ შემობრძანდნენ. დარწმუნებული ვარ, ასე იქნება ამჯერადაც. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ დიდ ქარიშხალს ჭიქაში არ ავტეხთ, რადგან ეს ქარიშხალი შემდგომში ისევ ჩვენი ჩასაწყნარებელი იქნება. რაც უფრო ხმამაღალი სიტყვებით იტყვიან დღეს, რომ არ შემოვლენ საკანონმდებლო ორგანოში, შემდგომში მით უფრო გაუჭირდებათ შემოსვლა. პოლიტიკოსები ვართ, ჩვენს სიტყვას ფასი აქვს და ვთქვათ ის, რისი შემსრულებელნიც ვართ და რასაც ჩვენი ამომრჩეველი გვკარნახობს. მგონია, მათ საკუთარმა ამომრჩეველმა იმიტომ მისცა ხმა, რომ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი წარმომადგენლობით ორგანოებში. ჩემი რჩევა ეს იქნება და თუ მიიღებენ, კარგია, თუ არადა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ყველას აზრს ვცემ პატივს, მათ შორის, მათ აზრსაც და კი, ბატონო, დარჩნენ იმ აზრზე, რა აზრზეც არიან, - განაცხადა დავით გაბაიძემ. სხდომაზე დეპუტატებმა, ასევე, აირჩიეს უმაღლესი საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეები და წევრები, ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ გოგი ფუტკარაძე უხელმძღვანელებს.

იხ. მე-9 გვ.

ISSN 2720-8702

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ბათუმის საკრებულომ 2025 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

*ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი ბათუმის საკრებულომ 25 ნოემბერს, მორიგ სხდომაზე დაამტკიცა, რომელსაც ოპოზიცია არ დასწრებია. ბათუმის მომავალი წლის ბიუჯეტი ქალაქის მერმა არჩილ ჩიქოვანმა და მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ედნარ ნატარიძემ წარადგინეს. არჩილ ჩიქოვანმა ამომწურავად უპასუხა დეპუტატების შეკითხვებს*



პრიორიტეტების მიხედვით, ასიგნებები შემდეგნაირად გადანაწილდა: გაზრდილია თანხები ყველა მიმართულებით, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 64,399.5 ათასი ლარი, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება კი 266,036.6 ათასი ლარია. ქალაქის დასუფთავების, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით თანხამ 42,462.4 ათასი ლარი შადგინა, განათლება - 50,584.1, კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 32,163.7, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა კი 29,327.5 ათასი ლარია. 818.6 ათასი ლარია ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარების ბიუჯეტი, მუნიციპალური სერვისების განვითარებისთვის კი 14,207.6 ათასი ლარია გათვალისწინებული.

- საკრებულომ დღეს დაამტკიცა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი, რომლის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს ნახევარ მილიარდ ლარს. მნიშვნელოვანია, რომ ამ დოკუმენტში ასახულია ყველა ის გამოწვევა, რაც ჩვენს ქალაქსა და თანაქალაქელებს აწუხებთ. თანხები გაზრდილია ყველა მიმართულებით, ქალაქის ინფრასტრუქტურული ნაწილი გაიზარდა 24 მილიონით, მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შდარებით. განათლების მიმართულება - 5 მილიონი ლარით, 5,5 მილიონით გაიზარდა ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის მიმართულება, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით მილიონ 200 000 ლარი დაემატა, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი პროგრამა და პროექტი განხორციელდება, რომლითაც ჩვენი თანაქალაქელები ისარგებლებენ. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ თანხები ახალი გზების გაყვანას, ასევე, მშენებლობას მოხმარდება და გაამარტივებს სატრანსპორტო გამოწვევებს ჩვენი ქალაქის წინაშე, რაც არაერთ პრობლემას ქმნის როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვის. სასიხარულოა, რომ პროექტს საკრებულომ მხარი დაუჭირა. სამწუხაროდ, საბიუჯეტო განხილვებსა და დღევანდელ სხდომაზე არ იყო წარმოდგენილი ოპოზიცია, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მხოლოდ დესტრუქციითა და ხელის შეშლით გამოირჩევა. სასურველი იქნებოდა, რომ მათი მოსაზრებები, თუნდაც კრიტიკული, მოგვესმინა და შესაბამისად, გაგვეთვალისწინებინა კიდეც, თუ რამე ღირებული იქნებოდა, თუმცა ამ ადამიანებს ჩვენი ქალაქის ხვალინდელი დღე, ჩვენი ქვეყნის განვითარება და საზოგადოების წინსვლა, სერვისების განვითარება და სიახლეები არ აინტერესებთ. მათ აქვთ სხვა დღის წესრიგი, ისინი კარვებით, პიკეტირებით, საცირკო წარმოდგენებით და საზოგადოების ხელშეშლით არიან დაკავებულები, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესში. კერძოდ, ცვლილების მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოქმედი წესით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, განხორციელდება ისეთი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება, რომლებიც კანონით აკრძალული არ არის, მათ შორის: ღონისძიებები, რომელთა რეაგირების დაყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ხარჯები, როდესაც საფრთხე ექმნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას ან საქართველოს კანონმდებლობით დაცულ სხვა სიკეთეს. ამასთანავე, ამავე წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში იზრდება დაზარალებულ ოჯახებზე მიყენებული ზიანის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებს ზემოთ მიყენებული ზიანის შემთხვევაში, დახმარების საკითხი განსახილველად გადაეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი დადგენილებით შექმნილ სამთავრობო კომისიას.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვრის ც 2 დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვისას ავტობუსებისათვის, წყლის მიწოდებისა და წყალარინების საქმიანობის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების მართვის სფეროში და სპორტის დარგში გამოყენებული ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის წლიური განაკვეთის მოქმედების ვადა გაგრძელდება 2027 წლის 1 იანვრამდე.

საკრებულომ ცვლილება შეიტანა ქალაქ ბათუმში, ე.წ. შანხაის დასახლებასა და სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №№ 94-96-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პროგრამულ ღონისძიებაში, რაც 2023 წლის 30 მარტის №გ-15.15230895 განკარგულებით დამტკიცებული დანართის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

ცვლილება განხორციელდა საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის № გ 15.15203582 განკარგულებით დამტკიცებულ მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალურ პროგრამაშიც. ცვლილების შედეგად პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევა იმ ოჯახებს, რომელთა უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი 2018 წლამდე რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციისათვის დადგენილი კრიტერიუმების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების და, აგრეთვე, სოციალურ სფეროში მომუშავე სხვა უწყებების, პირების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. სამუშაო ჯგუფი შეისწავლის უკვე დადგენილ კრიტერიუმებს, შეაფასებს მას და მოამზადებს შესაბამის დასკვნებს/რეკომენდაციებს.

დამტკიცდა ბათუმში, ადლიის ქ. №59-სა და ადლიის III ჩიხი №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმა. აღნიშნულ საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ნაცვლად დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, სადაც განთავსდება 370 ბინა, ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი და მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომები.

განაშენიანების დეტალური გეგმა დამტკიცდა თამარ მეფის გზატკეცილზე მდებარე მიწის ნაკვეთზეც, სადაც შპს „ბათუმი ცენტრალის“ მიერ დაგეგმილია მიწის ნაკვეთის ერთ ნაწილში არსებული შენობა-ნაგებობების ნაცვლად მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. საცხოვრებელი ბინების გარდა, ობიექტზე განთავსდება საზოგადოებრივი დანიშნულების ფართები, ასევე, მიწისქვეშა ავტოსადგომები. დაგეგმილია ღია ავტოსადგომების, სათანადო ინფრასტრუქტურის, შიდა გზების მოწყობა და ტერიტორიის გამწვანება.

საკრებულომ რიგ მისამართებზე განაშენიანების დეტალური გეგმა და გეგმის კონცეფციები დაამტკიცა. იგეგმება სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსების მოწყობა. ტექნიკური ხასიათის ცვლილება შევიდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკასა და განკარგულებით დამტკიცებულ რეგლამენტში.

25 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, საკრებულომ, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ოქტომბრის N403 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისას მაკომპენსირებელი ღონისძიებებიც განსაზღვრა.

ბათუმში, ალ. პუშკინის ქუჩა №№37, 37ა, 37/39, 35დ-ში და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია დამტკიცდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „ჰოლანდიური სახლი ბათუმის“ მიერ დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელშიც, ბინების გარდა, განთავსდება საზოგადოებრივი დანიშნულების ფართები, ასევე მიწისქვეშა ავტოსადგომები, იგეგმება შიდა გზების მოწყობა და გამწვანება.

განაშენიანების დეტალური გეგმა დამტკიცდა ქალაქ ბათუმში, ცოტნე დადიანის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სადაც შპს „კომფორტმშენი“ გეგმავს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებისათვის პროექტით განსაზღვრულია მაკომპენსირებელი ღონისძიება.

საკრებულომ დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი განიხილა და დაამტკიცა. სხდომის დასულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარისა და სხვა თანამდებობის პირების არჩევის საკითხზე კენჭისყრა გაიმართა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ირაკლი თავდგირიძე ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც მოქმედი საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, მიმდინარე წლის 26 სექტემბერს, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, თანამდებობიდან გადადგა. ირაკლი თავდგირიძე დღემდე ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე იგი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“ წარადგინა. ფრაქციის მიერ წარდგენილ კანდიდატს საკრებულოს უმრავლესობამ 19 ხმით დაუჭირა მხარი.

განხორციელდა სხვა თანამდებობრივი ცვლილებებიც, კერძოდ: ნატალია ზოიძე, რომელიც დღემდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას იკავებდა, ამიერიდან საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა, ლევან ცხოიძემ, რომელიც საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას ხელმძღვანელობდა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა დაიკავა, საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას ნატალია ძიძიგური უხელმძღვანელებს. თანამდებობებზე ყველა კანდიდატი საკრებულოს ახალარჩეულმა თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძემ წარადგინა, რომლებიც მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგნენ.

## ქრონიკა

ბათუმში მოხუცთა თავშესაფრის ახალი შენობის მშენებლობა იწყება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 150 პირზე გათვლილი თავშესაფრის, 50 ბენეფიციარისთვის განკუთვნილი დღის ცენტრისა და 150 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა. ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ ახალი, მულტიფუნქციური მოხუცებულთა თავშესაფრის საძირკველი აკურთხა და პარაკლისი გადაიხადა.

* * *

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ ფარგლებში, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. პროგრამის მიზანი 2025 წლის ბოლომდე 3000 ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრისის შექმნაა. ახალი პროექტის დაწყება მშენებლობის საძირკველში სიმბოლური კაფსულის ჩაშვებით აღინიშნა, რასაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, კომპანიის წარმომადგენლები და მომავალი მობინადრეები დაესწრნენ. ახალი კომპლექსი ბათუმის საერთაშორისო საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ, ტბელ აბუსერისძის ქუჩაზე შენდება. პროექტი ორ მრავალსართულიან შენობას გააერთიანებს, რომლებიც ზღვისა და აჭარის მთების ხედებით ერთმანეთის პარალელურად განლაგდება.

* * *

ბათუმმა, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით, ყოველწლიურ ფესტივალ „განდაგანას“ უმასპინძლა. ფესტივალი, ტრადიციულად, საშემოდგომო დეკორაციებით გაფორმებულ ევროპის მოედანზე მიმდინარეობდა. ორი დღის განმავლობაში ფესტივალის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ქალაქიდან გაუსვლელად აჭარულ სოფლებში „ემოგზაურათ“, დაეგემოვნებინათ აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი კერძები, გაცნობოდნენ აჭარულ ტრადიციებსა და კულტურას. საშემოდგომო დეკორაციებით გაფორმებული სივრცე მთიანი მუნიციპალიტეტების კულტურის, ტრადიციების, სოფლებში არსებული ავთენტური გარემოს გაცოცხლებასა და მთებში მოგზაურობის წახალისებას უწყობს ხელს. მოწყობილი იყო სპეციალური კუთხეები, სადაც აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი კერძები მომზადდა, ჩატარდა მასტერკლასები და კულინარიული შეჯიბრებები პროფესიული კოლეჯებისა და მოწვეული ბრენდშეფების მონაწილეობით.

* * *

ანსამბლ „ბათუმის“ წევრს, ჭაბუკა სურმანიძეს 24 ნოემბერს ვარსკვლავი გაუხსნეს. ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში 50 წლის იუბილე და ვარსკვლავის გახსნა მომღერალს არაერთმა მეგობარმა, კოლეგამ და კულტურის სფეროს წარმომადგენელმა მიულოცა. ღონისძიებას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი დაესწრნენ. მათ ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მადლობა გადაუხადეს ხელოვანს და უსურვეს, კიდევ მრავალი წელი ემსახუროს თავის რეგიონს და ქვეყანას. - მინდა, მივულოცო 50 წლის იუბილე ყველასათვის საყვარელ ხელოვანსა და განსაკუთრებულ ადამიანს ჭაბუკა სურმანიძეს. მისი დამსახურება და ღვაწლი უსაზღვროა ჩვენი ქალაქის წინაშე. ეს არის ჩვენი თაობის გამორჩეული პიროვნება, რომელიც უკვე წლებია, გვაერთიანებს და მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურება ბათუმს. მისი ვარსკვლავი ჩვენი ლამაზი ზღვისპირა ქალაქის ცაზე დიდხანს იკიაფებს ჩვენი ქვეყნისა და ერის სიმბოლოდ. კიდევ ერთხელ ვულოცავ მას, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერ წლებს, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

# „საქართველოს საკითხი ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია ამერიკისთვის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***მსოფლიო პოლიტიკაში კვლავ მნიშვნელოვან მოვლენად რჩება ახლახან ჩატარებული აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. დონალდ ტრამპის დამაჯერებელმა გამარჯვებამ ზოგიერთი დასავლური ქვეყნის შეშფოთება გამოიწვია... როგორც ცნობილია, ტრამპი აცხადებდა, რომ რუსეთ-უკრაინის ომს 24 საათში დაასრულებდა და მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში ამერიკის ინტერესებს ყოველმხრივ დაიცავდა. უდავოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ზესახელმწიფო, დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე, შესაბამისად, ამ ქვეყანაში მიმდინარე არჩევნები დანარჩენი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია***

*გაჩნდა არაერთი კითხვა: როგორია ამერიკის არჩევნების ეფექტი? როგორ აპირებს ტრამპი რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას? როგორ წარიმართება საქართველო-ამერიკის ურთიერთობა? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) პროფესორი* ***გიორგი კობერიძე*** *გვესაუბრება.*



**- აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა. მისი გამარჯვება რა ფაქტორებმა განაპირობა?**

- დონალდ ტრამპის გამარჯვება მთლიანად ქვეყნის შიდა ფაქტორებსა და მიმდინარე პროცესებზე იყო აგებული. კამალა ჰარისი არ იყო ძლიერი ოპონენტი, ტრამპს ჰქონდა კამალა ჰარისზე მეტი ქარიზმა, მდიდარი პოლიტიკური წარსული და ჰყავდა მეტი ფანატიკური მიმდევარი. ყოველივე ამან, ერთგვარად, განაპირობა ტრამპის ირგვლივ დიდი ჯგუფების მობილიზება. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ეგრეთ წოდებული პოლიტიკური კორექტულობის საკითხი, რომელიც წლების განმავლობაში არსებობს ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში. ამ მხრივაც ამერიკელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტრამპის ირგვლივ გაერთიანდა. მესამე არის სასაზღვრო ფაქტორი - უმნიშვნელოვანესი გამოწვევა ამერიკისთვის, რადგანაც მიგრაციის უზარმაზარი და გაზრდილი მასშტაბი (მით უფრო, როცა მსოფლიოში კრიზისები მატულობს) აისახა კიდეც ამერიკის შეერთებული შტატების შიდაპოლიტიკურ მთავარ ხედვაზე. დონალდ ტრამპი აცხადებდა, რომ ის საზღვარს დახურავდა და შეამცირებდა მიგრანტების რაოდენობას. ეს მნიშვნელოვანი კოზირი იყო მისთვის, რადგან კამალა ჰარისმა (რომელსაც ებარა კიდეც ეს საკითხი) საზღვრის კონტროლს თავი ვერ გაართვა.

**- დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტება როგორ აისახება მსოფლიო პოლიტიკაზე?**

- ტრამპის მთავარი თვისება და მახასიათებელია მისი არაპროგნოზირებადობა, რაც, შესაბამისად, არის მისი როგორც დიდი მინუსი, ასევე დიდი პლუსი, რადგან ძალიან რთული იქნება, ვინმემ ზუსტად განჭვრიტოს მისი შემდგომი ნაბიჯები. სხვათა შორის, ჯონ ბოლტონი, ტრამპის ყოფილი ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი, სწორედ ამის გამო აკრიტიკებდა მას და ამბობდა, რომ ტრამპის პოლიტიკა როგორც წარსულში, არც ახლა იქნება თანმიმდევრული... იგი პოლიტიკას აგებს, ძირითადად, საკუთარ ხედვებზე, მეორე მხრივ, აშშ-ს აქვს თავისი სახელმწიფო ინტერესები და ეს ინტერესი და დონალდ ტრამპის კერძო ხედვები ურთიერთწინააღმდეგობრივი ხანგრძლივად ვერ იქნება, რადგან სერიოზულ კრიზისს გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, ტრამპს მაინც მოუწევს, მეტწილად, დაეთანხმოს ამერიკის საგარეო სახელმწიფო ინტერესებს.

**- აშშ-ის პრეზიდენტს მსოფლიოში რა მთავარი გამოწვევები ელოდება?**

- ცხადია, მთავარი გამოწვევა დაკავშირებულია უკრაინასთან, ისრაელსა და ტაივანთან, ასევე, ჩინეთთან, რომელიც ძალიან ძლიერია და სულ უფრო ძლიერდება, მისი ეკონომიკაც (მიუხედავად გარკვეული შეფერხებებისა) მზარდია, მით უფრო, რომ, პრაქტიკულად, საბითუმო ფასად ყიდულობს ენერგორესურსებს და რუსეთი გახდა მასზე პოლიტიკურად დამოკიდებული სახელმწიფო. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია „ბრიქსი“, რომელიც ჩინეთის ლიდერობითაა ფორმირებული და აერთიანებს, ასევე, ბრაზილიას, ინდოეთს, რუსეთს. ამხელა დიდი კოალიციით ჩინეთი ცდილობს, შექმნას ალტერნატიული ღერძი მსოფლიოსთვის, შესაბამისად, ეს იქნება ტრამპის ადმინისტრაციისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. მას, უპირველესად, მოუწევს უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით იმ ხაზის გატარება, რასაც დიდი ხნის განმავლობაში აჟღერებდა, რომ სურს ომის დასრულება. დიდი ალბათობით, ის ამ ომს ვერ დაასრულებს და ახალი რეალობის შესაბამისად მოუწევს ახალი დღის წესრიგის ფორმირება, შემდეგ კი საკუთარი ხაზის გატარება, რაც შესაძლოა, გულისხმობდეს იარაღის მეტ მიწოდებას უკრაინისთვის ან პირიქით - მის სრულ შეზღუდვას.

**- რას უნდა ველოდოთ რეალურად?**

- ნაკლებად სავარაუდოა, შედეგიანი იყოს ცეცხლის შეწყვეტასა და ომის დასრულებასთან დაკავშირებული განცხადებები იქიდან გამომდინარე, რომ ამას სჭირდება ყველა მხარის თანხმობა. რუსეთს შორსმიმავალი გეგმები და პირობები აქვს, არა მგონია, უბრალოდ ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდეს, ხოლო, მეორე მხრივ, უკრაინა გარანტიების გარეშე არ დათანხმდება ცეცხლის შეწყვეტას, ვინაიდან ეს დროებითი ცეცხლის შეწყვეტა იქნება. რუსეთისთვის ცეცხლის შეწყვეტა ნიშნავს, რომ მან მიაღწია წარმატებას და შეინარჩუნა დაკავებული ტერიტორიები, ხოლო უკრაინისთვის გარანტიების გარეშე ცეცხლის შეწყვეტა სუიციდია, მას სჭირდება დასავლური მხარდაჭერა. უსაფრთხოების მაქსიმალური გარანტიების გარეშე (ნატოში უპირობო გაერთიანება, ან მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედროების განთავსება) უკრაინა ცეცხლის შეწყვეტას ნამდვილად არ დათანხმდება.

**- რამდენად მოსალოდნელია, რომ ტრამპმა უკრაინა აიძულოს, რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყოს მისთვის მიუღებელი პირობებით?**

- ვფიქრობ, თითქმის გამორიცხულია, უკრაინა ამას დათანხმდეს, თუნდაც ეს იყოს ამერიკის მხრიდან იძულება, მაგრამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრაც, რომ აშშ-ს აქვს თავისი ინტერესები, რასაც ასე მარტივად ტრამპის ხედვა ვერ უგულებელყოფს. აშშ-ის ინტერესი ნამდვილად არ არის, რომ შეიქმნას წარმატებული დაპყრობის პრეცედენტი ევროპის კონტინენტზე და უკრაინა გამოვიდეს სრულიად დამარცხებული. თუ უკრაინა ყოველგვარი გარანტიის და უსაფრთხოების პირობების გარეშე დაჯდება რუსეთთან მოსალაპარაკებლად, ეს იქნება მინიშნება, რომ შესაძლებელია, დათმოს თავისი ტერიტორიები, რასაც რუსეთი მომავალში სათავისოდ გამოიყენებს. აშშ-ისთვის მნიშვნელოვანია რუსეთის დასუსტება-გამოფიტვა და არა გაძლიერება, რადგან თუ რუსეთი გაძლიერდა, მივიღებთ კიდევ უფრო მეტად საშიშ, აგრესიულ სხვა სახელმწიფოს, მათ შორის ჩინეთს და ისინი ამ პრეცედენტს გამოიყენებენ სათავისოდ. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, აშშ-მა საკუთარი ინტერესები უგულებელყოს. არსებობს კიდევ ერთი ძალა - ევროპა, რომელსაც თავის მხრივ (თუ ამერიკამ დაიწყო უკრაინის იძულება კომპრომისზე) მოუწევს რიგი ღონისძიებების გატარება უკრაინის დასახმარებლად, თორემ სხვა შემთხვევაში თვით ევროპის უსაფრთხოება დადგება ეჭვქვეშ.

**- გვერდს ვერ ავუვლით იმ რეალობას, რომ ომი გახანგრძლივდა და მონაწილეთა გამოფიტვის ფაზაშია შესული...**

- თუმც ჯერჯერობით არცერთ მხარეს არ ეტყობა, რომ სრულად გამოფიტულია. რა თქმა უნდა, ორივე მხარეს უჭირს, მათ შორის პროფესიული ცოცხალი ძალის მხრივ. ვხედავთ, რომ უკრაინა მთლიანად დასავლურ ტექნიკაზეა დამოკიდებული, ხოლო რუსეთი ტექნიკას უფრო ხარჯავს, ვიდრე აწარმოებს. ვხედავთ იმასაც, რომ მას მძიმე ტექნიკის დეფიციტი აქვს. ამასთან, რუსეთის ტერიტორიაზე, კურსკის ოლქში, კორეელების გამოჩენა მიუთითებს, რომ რუსეთს ცოცხალი ძალის მხრივ უჭირს და სჭირდება სხვა ქვეყნის დახმარება, მით უფრო, თუკი საუბარია „საზარბაზნე ხორცზე“... რუსეთი ვერ ახორციელებს ორგანიზებულ შეტევას, დიდი რაოდენობით ცოცხალ მასას (სწორედ ჩრდილოკორეელებს) იყენებს შეტევებში და ცდილობს ზეწოლას უკრაინელებზე, საუბარია დაახლოებით ათი ათას კორეელზე. ეს ზამთარი იქნება ძალიან კრიტიკული უკრაინისთვისაც და რუსეთისთვისაც, თუმცა, მაღალი ალბათობით, უკრაინისთვის უფრო კრიტიკული იქნება, რადგან, მეტწილად, მის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ომი. სხვათა შორის, ევროპისთვისაც რთული იქნება ეს ზამთარი რესურსების თვალსაზრისით. ამ ზამთრის შემდეგ უფრო ბევრი რამ გამოჩნდება.

**- უახლოეს მომავალში რამდენად რეალურია უკრაინაში არჩევნების ჩატარება და, ასევე, ხელისუფლებაში ანტიდასავლური ძალის მოსვლა?**

- უკრაინაში, ომი როგორც კი დასრულდება, არჩევნები ჩატარდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მოკლე ვადაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ანტიდასავლური ძალა მოვიდეს, თუმცა გრძელვადიანად რუსეთი შეეცდება უკრაინაში ანტიდასავლური ძალის მოყვანას და მაქსიმალურად ანტიდასავლური განწყობების შექმნას. უნდა გითხრათ, რომ უკრაინაში ძალიან ძლიერია ნაციონალისტური მუხტი, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, ქვეყანამ რუსული მხარე დაიჭიროს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ უკრაინაში პრორუსული მოსახლეობა, ძირითადად, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ცხოვრობდა, რომლებსაც ომი ყველაზე მძიმედ შეეხო - რუსებმა პრორუსული მოსახლეობის ნაწილი ან დახოცეს, ან ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან, შესაბამისად, იმ ჰიპოტეტურ არჩევნებში, რომელიც შესაძლოა ჩატარდეს უკრაინაში, ნაკლებ სავარაუდოა, პრორუსულმა ძალებმა მიიღონ მონაწილეობა.

**- უკრაინაც და საქართველოც დიდადაა დამოკიდებული აშშ-ის პრინციპულობაზე ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ნატოს გაფართოება და რუსეთის ამბიციების მოთოკვა. რას უნდა ველოდოთ ამ მიმართებით?**

- საქართველოს საკითხი ამერიკისთვის ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ქვეყანა სტრატეგიული დერეფანია, რომლის დაცვა და ფლობა ამერიკისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამავე დროს, ჩინეთი ჩვენს რეგიონში, რუსეთთან ერთად, უფრო და უფრო მეტად არის წარმოდგენილი. საქართველოს ხელისუფლებას პროჩინური პოზიცია არაერთხელ დაუფიქსირებია და მასთან სტრატეგიული პარტნიორობაც გაფორმებული აქვს. მაღალი ალბათობით, ეს იქნება დასავლეთის შეჯახება რუსულ-ჩინურ ინტერესებთან... აქ ერთი მხარე ძლიერად იქნება წარმოდგენილი. ვფიქრობ, საქართველოსთან მიმართებით დასავლეთის მხრიდან აქტიურობა უფრო მეტი იქნება მოკლე ვადაში, ვიდრე უკრაინასთან, რადგან საქართველო დასავლეთისთვის ჯერ დაკარგული არ არის. უკრაინა უფრო რთული გამოწვევის წინაშეა, იქ მეტი კრიზისია გადასაჭრელი, ხოლო საქართველოს საკითხი შედარებით მარტივად შეიძლება მოგვარდეს.

**- სამწუხაროდ, საქართველო-აშშ-ის ურთიერთობები არც ისე სახარბიელოა. ეს რა ფაქტორებმა განაპირობა?**

- ვიტყოდი, რომ საქართველოსა და აშშ-ის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა არ არის გაფუჭებული, უფრო სწორი იქნება თქმა, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და დასავლეთს შორის არის ურთიერთობა გაფუჭებული, რაც განაპირობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართულმა რუსულმა რიტორიკამ - თითქოს ომში გვითრევენ, თითქოს გლობალური ომის პარტია არსებობს და სხვა. ეს იყო ძალიან მძიმე შედეგის მქონე. დასავლეთი მაქსიმალურად იყო დაინტერესებული საქართველოში დასავლური ღირებულებების მხარდაჭერით, შეიძლება ვთქვათ, რომ ბოლომდე ედგა „ქართულ ოცნებას“ გვერდით, 2022 წლამდე, სანამ რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყებოდა და სანამ საქართველოს ხელისუფლებამ ღიად რუსული რიტორიკა არ დაიწყო. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ არა მარტო აირჩია პრორუსული კურსი, არამედ ფსონი დადო რუსეთზე, ჩათვალა, რომ ის ძალიან ძლიერია და მისი დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა, რაც ასე არ აღმოჩნდა. სწორედ ახლა ხდება ამ ყველაფრის გადაჯგუფება. აღსანიშნავია, რომ ევროპის და აშშ-ის მხრიდან საქართველოში ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმაცია არ მომხდარა, შესაბამისად, რომელ ხელისუფლებასთან და რაგვარად მოხდება ურთიერთობის აღდგენა, მოგვიანებით გამოჩნდება.

**- რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის აშშ-ის მკაფიო მხარდაჭერა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში?**

- აშშ არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სამხედრო პარტნიორი, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამები, რომლებიც არსებობს ორი ათწლეულია, პრაქტიკულად, ემსახურება საქართველოს სამხედრო ძალების გაძლიერებას, მის მხარდაჭერას. ასევე, ჩვენ გვაქვს ეკონომიკური მხარდაჭერა, საუბარია ასობით მილიონ დოლარზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდა. უზარმაზარი დასავლური დაფინანსებით (აშშ, ევროკავშირი) დაიგო გზები. საუბარია ასობით კილომეტრ გზაზე... ასევე, ეკონომიკაში, კულტურაში, ძეგლების დაცვაში მათი უზარმაზარი ფულია ჩადებული. ამ დახმარების გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრიობა რთულად იფუნქციონირებდა. თუ დასავლეთის მხარდაჭერა შემცირდა ან გაჩერდა, შეიძლება მივიღოთ ბევრად მძიმე რეალობა და ვისურვოთ, რომ ეს ასე არ მოხდეს... ჩინეთი ჩვენი მხარდამჭერი არ იქნება, რადგან სადაც იგი შედის, ეკონომიკის სიმდიდრე არ შეაქვს, ჩინეთს შეაქვს კორუფცია და შეჰყავს მასზე დამოკიდებული სახელმწიფოები.

**- როგორც ცნობილია, ტრამპი მთავარ მოწინააღმდეგედ ჩინეთს მიიჩნევს...**

- ჩინეთი არის დიდი ღერძი, ის არ გახლავთ მხოლოდ დამოუკიდებელი მოთამაშე. ჩინურ ღერძში შედის რიგი სამხრეთამერიკული სახელმწიფოები, იგივე ვენესუელა, ბრაზილია, ასევე, ჩრდილოეთ კორეა, რუსეთი, ანუ ეს დიდი ძალის მქონე ღერძია. რა თქმა უნდა, ის არ არის დასავლური ღერძის სიმძლავრისა ამ ეტაპზე, მაგრამ ძალიან სწრაფად ვითარდება. ჩინეთი ძალიან სწრაფად მიიწევს წინ და თუკი დასავლეთის და ჩინურ ღერძს შევადარებთ, მათ შორის სხვაობას მხოლოდ ის გამოკვეთს, რომ დასავლეთს უფრო მეტი ფასეულობები აქვს და ამით იზიდავს სხვა სახელმწიფოებს. სწორედ იდეაზე დგას დასავლეთი, ხოლო ჩინეთს მსგავსი იდეოლოგიის შეთავაზება არ შეუძლია იქიდან გამომდინარე, რომ ამ იდეოლოგიებს ის არ ფლობს თავის თავში. ერთადერთი, რასაც ვხედავთ ჩინეთის შემთხვევაში, ესაა ავტოკრატიული ღერძი, ოღონდ - ეკონომიკურად დაწინაურებული. თუ ჩვენ ცივ ომს განვიხილავთ (60-იან წლებში), როცა იყო იდეასა და პოლიტიკურ-სამხედრო ძალებს შორის დაპირისპირება, დღეს ეს იდეა არ არსებობს, დღეს გვაქვს მხოლოდ სამხედრო მიმართულება, რაც დასავლეთს ერთგვარ უპირატესობას აძლევს.

**- დაბოლოს, რა უნდა გააკეთოს ჩვენმა ქვეყანამ, დასავლური ბანაკიდან გარიყული რომ არ ვიყოთ?**

- ვფიქრობ, საქართველოს სახელმწიფომ დასავლური კურსი არა მხოლოდ უნდა შეინარჩუნოს, არამედ დასავლეთს მეტი აქტიურობა უნდა მოსთხოვოს. სამხრეთ კავკასიაში საქართველომ საკუთარი თავის ფასის ხაზგასმა უნდა გააკეთოს, ამასთანავე მოსთხოვოს აშშ-ს და ევროპას, რომ დაჩქარებული წესით მოხდეს მისი მიღება ევროკავშირსა და ნატოში, ანუ უნდა მოსთხოვოს უსაფრთხოების ქოლგა საქართველოსთვის, ასევე, ჩვენმა ქვეყანამ უნდა დაიწყოს დასავლეთთან აქტიური სამხედრო თანამშრომლობა და მიიღოს დასავლური შეიარაღება, რათა ის იყოს იმდენად ანგარიშგასაწევი ძალა, რომ აგრესორმა ვერ შეძლოს საქართველოში აგრესიული ქმედებების განხორციელება.

***„ვფიქრობ, საქართველოსთან მიმართებით დასავლეთის მხრიდან აქტიურობა უფრო მეტი იქნება მოკლე ვადაში, ვიდრე უკრაინასთან, რადგან საქართველო დასავლეთისთვის ჯერ დაკარგული არ არის. უკრაინა უფრო რთული გამოწვევის წინაშეა, იქ მეტი კრიზისია გადასაჭრელი, ხოლო საქართველოს საკითხი შედარებით მარტივად შეიძლება მოგვარდეს***

# „საპარლამენტო არჩევნებს ჰქონდა მთავარი პრობლემა, რომელსაც „ოცნებაც“ არ უარყოფს...“

**ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17**

*საქართველოში არჩევნების დასრულების შემდეგ მოვლენები ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი სცენარით ვითარდება - იმართება საპროტესტო აქციები, საკანონმდებლო ორგანოებში არჩეულ ოპოზიციონერ დეპუტატებს კი ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, შევლენ თუ არა პარლამენტსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში, არადა, უმრავლესობამ უკვე ცნო მათი სადეპუტატო უფლებამოსილება ორივე ორგანოში და სრულიადაც არ იწუხებს თავს იმაზე ფიქრით, რა მოხდება ხვალ, თუკი ოპოზიცია, საბოლოოდ, მაინც გადაწყვეტს, განცხადებებით მიმართოს პარლამენტსა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს მანდატების გაუქმებასთან დაკავშირებით.*

*26 ნოემბერს, ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომის პარალელურად, რეგიონის საკანონმდებლო ორგანოსთან მოქალაქეები შეიკრიბნენ. ისინი არჩევნების შედეგებს აპროტესტებდნენ და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ. აქციის მონაწილეების განცხადებით, მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭო არალეგიტიმურია, ისევე, როგორც პარლამენტი. ისინი ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებენ. შეკრებილ სტუდენტებს, მოქალაქეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს უმაღლესი საბჭოს ის ოპოზიციონერი დეპუტატებიც შეუერთდნენ, რომლებიც აპირებენ სიების ჩახსნას და მანდატებზე უარის თქმას.*

*გთავაზობთ ინტერვიუს აჭარაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტთან, ამჟამად პოლიტიკური გაერთიანება „ახალის“ პოლიტსაბჭოს წევრ* ***მირდატ ჭამაძესთან****, რომელიც აღნიშნული კოალიციიდან აირჩიეს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.*



***„ოპოზიცია შევა თუ არა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში და მანდატს გამოიყენებს თუ არა, ამაზე კი არ უნდა ვმსჯელობდეთ ახლა, ის უნდა გავარკვიოთ, რატომ იკავებს თავს დასავლეთი, ამას უნდა გავცეთ პასუხი, როდესაც ამოდენა არგუმენტი გვაქვს. ევროკავშირი არანაირად არ რეაგირებს და თვლის, რომ დამოუკიდებლობის 33-ე წლისთავზე, იმ მიღწევების მიუხედავად, რაც ამ ხნის განმავლობაში გვქონდა, არჩევნებს ვერ ვატარებთ ნორმალურად***

**- ბატონო მირდატ, დავიწყოთ არჩევნებით...**

- მე მგონი, აღარავის ეპარება ეჭვი, არა მარტო ჩვენთან, მთელ მსოფლიოშიც კი, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ჰქონდა ერთ-ერთი მთავარი და თვალსაჩინო პრობლემა, რომელსაც „ოცნებაც“ არ უარყოფს, კერძოდ, ფარულობის პრინციპი იყო დარღვეული. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში შავით თეთრზეა გაწერილი: არჩევნები უნდა იყოს საყოველთაო და ფარული. გასაგებია, რატომ დასჭირდა მთავრობას არჩევნების ასე ღიად ჩატარება. ამ დროს მარტივია ამომრჩევლის ნების კონტროლი. ამასთან, წინა არჩევნებზე ჩვენ წარვუდგინეთ საზოგადოებას, თუ როგორ მუშაობს და რა გზებით ახდენს ზეწოლას ამომრჩევლებზე სუს-ი. ამას დაემატა არჩევნების ღიად ჩატარება, ამდენად, შეუძლებელია, ამ არჩევნებს რაიმე საერთო ჰქონდეს დემოკრატიასა და კონსტიტუციასთან. შესაბამისად, ეს არის მთავარი ხაზი, რის გამოც ამ ქვეყანაში უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები.

**- როდესაც ამბობთ, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც ეთანხმებიან ფარულობის პრინციპის დარღვევას, რას გულისხმობთ?**

- ბიულეტენი რომ ჟონავდა, ეს ყველამ შეამჩნია, დარწმუნებული ვარ - თქვენც. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ხომ თქვა, ამ გაჟონვას ნუ გადამაყოლეთო.

**- პრინციპში იქ ხომ არ ჩანდა, რომელ პარტიას მივეცით ხმა?**

- ჰო, მაგრამ ძალიან მარტივი იყო გამოცნობა: თუ ბოლოს გამოჟონავდა, 41-სთვის მიგიციათ, ხოლო თუ ცოტა ზემოთ - ოპოზიციისთვის. ამაზე ხომ არავინ დავობს?!

**- ბატონო მირდატ, მეეჭვება, რომ თქვენს ელექტორატს გაჟონილი ლაქების ადგილმდებარეობის შეშინებოდა, ადამიანმა რაც უნდა დაგაბრალოთ, სიმხდალეს ვერ მოგაწერენ, თქვენი მომხრეები ლაქების გარეშეც ხმამაღლა აცხადებენ, ვის მისცეს ხმა...**

- კი, ბევრია, ვისაც არ ეშინია და ვინც ღიად მოგვცა ხმა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ქვეყანაში საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი გვაძლევდა ხმას. გარდა ამისა, გვყავს მომხრეები, რომლებიც კონტროლს წინააღმდეგობას ვერ უწევენ, მაგრამ აქ ხომ „ეშინია-არ ეშინიაზე“ არ დგას საკითხი, ყურადღება სხვას უნდა მიექცეს და მინდა ჟურნალისტებსაც გთხოვოთ, სწორი აქცენტები გააკეთოთ, კერძოდ, ფარულობა - მთავარი პრინციპი დაირღვა და სხვა რაღაზე ვსაუბრობთ, ვერ გავიგე. შესაბამისად, როდესაც არჩევნებში კონსტიტუციით გაწერილი მთავარი პრინციპი უგულებელყვეს, ამის შემდეგ სხვა მტკიცებულებების ძებნაც კი არ არის მართებული, რადგან ხელისგულზე დევს უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი - კონსტიტუციაა დარღვეული, შესაბამისად, ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად და ვითარების განსამუხტად უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები.

**- უმრავლესობა თვლის, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რღვევამაც განაპირობა ამომრჩევლის დაბნეულობა. მაინც რა მოხდა, ამ კუთხით ვითარების განხილვაზე არ გიფიქრიათ?**

- მთელი ამ ხნის განმავლობაში რაზეც გესაუბრეთ - ის მოხდა. ისევ და ისევ ფარულობის პრინციპის დარღვევას ვუბრუნდებით, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლა-რღვევა-დაბნევა ზღაპრებია, რითაც „ქართული ოცნება“ თავს იმართლებს. თემას ცვლიან, უნდათ „განმარტონ“, სად წავიდა ჩვენი ხმები, მაგრამ იმდენად ალოგიკურია ეს ყველაფერი, რომ აღარავის სჯერა... ამასთან, ჩვენს ელექტორატში ვინ დაიბნა და ვინ დაიკარგა, ამაზე დარდს და წუხილს, უმჯობესია, „ოცნებამ“ გვიპასუხოს, რატომ იყო არჩევნები ღია და რატომ დაირღვა კონსტიტუცია. დანარჩენი, ეს ბელეტრისტიკა, არ გვაინტერესებს.

**- აქვე შეგახსენებთ წინასაარჩევნო კამპანიას, რომლის დროსაც როგორც თქვენი ოპონენტები ამტკიცებენ, არ აქტიურობდით მუნიციპალიტეტებში.**

- თქვენ აშუქებდით წინასაარჩევნო კამპანიას? მგონი, არა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, გეცოდინებოდათ, რომ ძალიანაც ვაქტიურობდით, ვატარებდით მრავალრიცხოვან შეხვედრებს ჩვენს მომხრეებთან და აღსანიშნავია, რომ ყველა დიდი ინტერესით ეკიდებოდა ჩვენთან საუბრებს. ამაშია საქმე, იგონებენ იმას, რაც აწყობთ, იმედი აქვთ, რომ არავინ გადაამოწმებს და ასეცაა, არადა, დღეს ეს არ არის რთული, ვისაც სურს, მარტივად ამოიღებს საინფორმაციოებიდან თუ სოციალური ქსელებიდან მთელი ჩვენი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პროცესს... ანუ ხელისუფლება ჩვენ მაგივრად ეძებს ჩვენი დაკარგული ხმების ე.წ. ლოგიკურ ახსნას და ლეგენდებს თხზავს, მზრუნველი მენტორივით ყველაფერს ამბობს, იმის გარდა, რაც სინამდვილეში მოხდა. თეთრზე შავს შემოაგდებს, თითქოს შეხვედრებს არ ვატარებდით, ამომრჩეველი დავაბნიეთ, არასწორი სტრატეგია შეგვიმუშავებია და სხვა... იმაზე კი არაფერს ამბობს, დემოკრატიის მთავარი პრინციპი რომ დაარღვია იმან, ვინც პასუხისმგებელი იყო არჩევნების ფარულად ჩატარებაზე... ამაზე გაგვცეს ხელისუფლებამ პასუხი, დანარჩენს - დაბნეულ თუ შეხვედრების გარეთ დარჩენილ საკუთარ მომხრეებს თავად მივხედავთ, ჩვენი საქმეა...

**- უმაღლეს საბჭოში შესვლას თუ აპირებთ? ზოგიერთი უკვე წერს განცხადებას დეპუტატობის მანდატის დასატოვებლად...**

- ყველაფერს გავაკეთებთ თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, რაც ემსახურება იმას, რომ არალეგიტიმური არჩევნების ლეგიტიმაცია არ მოხდეს. ჩვენგან ყველა აუცილებელი პროცედურა იქნება დაცული.

**- რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, არ გამოიყენოთ ამომრჩევლის მიერ დელეგირებული დეპუტატის მანდატი საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად?**

- დეპუტატის მანდატის ლეგიტიმაცია უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არჩევნები ტარდება კონსტიტუციით განსაზღვრულ ჩარჩოებში. კაბინეტში როცა წყდება, ვის რამდენი მანდატი უნდა უწილადონ, ასეთ მანდატთან საერთო არაფერი მაქვს პირადად მე... ამაზე მხოლოდ მე ხომ არა, მთელი მსოფლიო საუბრობს. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 33-წლიანი არსებობის განმავლობაში პირველად არ აღიარებს არჩევნებს საერთაშორისო თანამეგობრობა, რაშია საქმე? ამომრჩეველს არ შევხვდით, ეგ არის ახსნა-განმარტება?! სწორი აქცენტები გავაკეთოთ, ეს არის ჩვენი მოთხოვნა!

**- რა მიგაჩნიათ სწორ აქცენტებად?**

- ისევ და ისევ ფარულობის პრინციპის და რღვევის საფუძველზე სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა. რას ვაპირებთ, უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება ჩვეული რიტმით, ვაღიაროთ არალეგიტიმური არჩევნები, რომელსაც ცივილიზებული მსოფლიო არ აღიარებს! თუ გვინდა დასავლეთში ინტეგრაცია, მაშინ გზა არა იზოლაციისკენ, არამედ ხელახალი დემოკრატიული არჩევნებისკენ უნდა გავაგრძელოთ და თუ ამ ქვეყანაში არჩევნები ჩატარდება ღიად, გამჭვირვალედ და უპასუხებს დემოკრატიული პრინციპებით გათვლილ ყველა სტანდარტს ისე, რომ კითხვის ნიშნები არავის დარჩება, იგივე შედეგის შემთხვევაში, მე ღიად და საჯაროდ გამოვალ, მივულოცავ ოპონენტს იმის მიუხედავად, რა აზრზე იქნებიან სხვა ოპოზიციური პარტიები. იგივეს მოვთხოვ „ქართულ ოცნებასაც“ - თუ დამარცხდება სამართლიან არჩევნებში, ხელისუფლება გამარჯვებულს გადააბაროს. ყველაფერი ზემოთ აღნიშნული დემოკრატიული პროცესის ნაწილია და მისი სტანდარტების ზედმიწევნით დაცვა ჩვენ, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს გვევალება ერის და ქვეყნის წინაშე. ეს არის მთავარი აქცენტი, რაზეც უნდა ვფოკუსირდეთ საზოგადოება და არა იმაზე, რომ ვიღაც გაუგებარი ხალხი შეიკრიბა, რაღაცის უფლებამოსილება ცნო და ა.შ. ეს მეორეხარისხოვანია ამ წუთას... ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის პრესტიჟი, რადგანაც ჩვენი მეგობარი ქვეყნების ლიდერები, ჩვენი პარტნიორები, ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს იყო სამარცხვინო არჩევნები, რომელსაც არ აქვს არანაირი გამართლება.

**- რომ ცნოს დასავლეთმა ეს არჩევნები, მაშინ როგორ მოიქცევით, ჯერჯერობით ხომ თავს იკავებს საბოლოო დასკვნის დადებისგან?**

- ჰოდა, ოპოზიცია შევა თუ არა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში და მანდატს გამოიყენებს თუ არა, ამაზე კი არ უნდა ვმსჯელობდეთ ახლა, ის უნდა გავარკვიოთ, რატომ იკავებს თავს დასავლეთი, ამას უნდა გავცეთ პასუხი, როდესაც ამოდენა არგუმენტი გვაქვს. ევროკავშირი არანაირად არ რეაგირებს და თვლის, რომ დამოუკიდებლობის 33-ე წლისთავზე, იმ მიღწევების მიუხედავად, რაც ამ ხნის განმავლობაში გვქონდა, არჩევნებს ვერ ვატარებთ ნორმალურად, ისევ წარსულში გადავვარდით და ბანანის რესპუბლიკად ვიქეცით.

**- საპროტესტო აქციების კუთხით, რა გეგმები გაქვთ უახლოეს მომავალში?**

- მთავარი ამოცანაა, გაგრძელდეს მუშაობა, რათა არ მოხდეს ამ პარლამენტის სრული ლეგიტიმაცია. მთავარი მიზანია, ჩატარდეს ხელახალი არჩევნები. რაც შეეხება დანარჩენს, საპროტესტო აქციებს, უცხოელ პარტნიორებთან შეხვედრებს თუ ბრძოლის ფორმებს, ეს საკითხები არის ტაქტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ღია და საჯარო გახდება ჩვენი საზოგადოებისთვის, როგორც კი წინააღმდეგობის სქემის მომდევნო ეტაპები ჩამოყალიბდება.

# სტიქია – ბათუმში

**მანანა ტაკიძე 577 10 15 17**

***ბათუმში მოსულმა ძლიერმა წვიმამ გარკვეული შეფერხებები გამოიწვია, დაიტბორა ქუჩები, საცხოვრებელი სახლების სარდაფები და მიწის ნაკვეთები. ყველა პრობლემურ ლოკაციაზე მობილიზებულია ბათუმის მერიის შესაბამისი სამსახურები***

უხვი ნალექის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა დაათვალიერა.

- სტიქიურად მოსულმა უხვმა ნალექმა რიგი გამოწვევები შექმნა ბათუმში. დაახლოებით, 90 მისამართიდან შემოსულია მოქალაქეების განაცხადები მიწის ნაკვეთებისა და ეზოების დატბორვასთან დაკავშირებით. თითოეულ ლოკაციაზე მიმდინარეობს ამოტუმბვითი სამუშაოები, ინტენსიურად იწმინდება ზღვაში გამსვლელი არხები. მობილიზებულია სპეცტექნიკა და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს ყველა მუნიციპალური სამსახური. მუდმივმოქმედი კომისიის ფარგლებში, ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, ყველა ბათუმელს, რა თქმა უნდა, აუნაზღაურდება და დაუკმაყოფილდება ის მოთხოვნები და ხარჯები, რაც სტიქიის შედეგად მიადგება.

უამინდობა მომდევნო დღეებშიც გაგრძელდება, შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში განვაგრძობთ მუშაობას, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

სამუშაოების მიმდინარეობას, რომელიც ამ დრომდე გრძელდება, მერთან ერთად, ბათუმის ვიცე-მერი ნუკრი დეკანაძე შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად გაეცნო.



# „კონტაქტის ზონა" – ინკლუზიური ცეკვის სპექტაკლი უნივერსალური ურთიერთობის ძიებისთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ინკლუზიური ხელოვნების განვითარება ქვეყანაში აუცილებელია და სწორედ ამ საკითხზე მუშაობს ორგანიზაცია „ინფორმი". მისი თანადგომით დაიდგა სპექტაკლი „კონტაქტის ზონა", რომელიც სამ ქორეოგრაფიულ დადგმას აერთიანებს და უნივერსალური ურთიერთობის ძიებისა და შინაგანი ქაოსის კავშირზე მოგვითხრობს*



ინკლუზიური ცეკვის სპექტაკლი ბათუმის ცირკში გაიმართა. მისი ავტორი და პროდიუსერი მაკა ჩხაიძე გახლავთ. რეჟისორი, კურატორი დავით ხორბალაძეა, ქორეოგრაფები - ვალერია ხრიპაჩი, ვერონიკა ტიხონოვა და ნათია ჩიკვაიძე. მუსიკა ნინო დავაძეს, ანუშკა ჩხეიძესა და გვანცა ენუქიძეს ეკუთვნით, სცენოგრაფია - კატო გელაშვილსა და მიშიკო სულაკაურს. მონაწილეობენ: ჯონათან რუსელი, მარიამ ბერიკელაშვილი, თომა ომანაძე, თანო ჩხეიძე, ნატალია კუკულაძე, თამარ ნავერიანი, ნინა ლებეშევა, გვანცა ენუქიძე და ნათია ჩიკვაიძე.

სპექტაკლის ჩვენების მხარდამჭერია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

- „კონტაქტის ზონა" არ არის მხოლოდ სპექტაკლი, უფრო პროექტია, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია სპექტაკლი. თავისთავად „კონტაქტის ზონის" კონცეფცია საერთო სივრცის, ისეთი ზონის შექმნაა, რომლითაც გვინდა შშმ პირები საზოგადოებასთან დავაკავშიროთ. სამწუხაროდ, იმ სოციალური გარემოდან გამომდინარე, რომელშიც ვცხოვრობთ, იმ სტერეოტიპებით და სტიგმებით სავსე გარემოს გამო, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს უწევთ ცხოვრება, შეხების წერტილები მათსა და საზოგადოებას შორის არ არსებობს. სპექტაკლის იდეის არსს რაც შეეხება, ეს კონტაქტი დგება რამდენიმე შრეზე. პირველი შრე - ეს არის კონტაქტი თვითონ ხელოვანებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ. მოგეხსენებათ, სპექტაკლში შედის შშმ პირებისა და ტიპური განვითარების მოზარდების ერთმანეთთან კონტაქტის და ურთიერთობის შედეგად შექმნილი სამი ქორეოგრაფიული დადგმა, სადაც შემოქმედებითი გაცვლა ხდება. მეორე შრე არის თვითონ ამ 3 ეპიზოდს შორის კონტაქტის შექმნა, მესამე შრე კი ამ სპექტაკლსა და აუდიტორიას შორის კონტაქტის დამყარებაა. გვინდოდა, კონტაქტის ზონა ნელ-ნელა გაგვეფართოებინა, დაწყებული ინდივიდუალური კონტაქტით მონაწილეებს შორის და გავრცობილიყო სახელოვნებო სივრცეებს შორის. ინკლუზიური პროექტები არ არის ჩვეულებრივი მოვლენა სხვადასხვა თეატრში, სახელოვნებო სივრცეებში და სხვა. ამიტომ, ეს სპექტაკლი ყოველ ჯერზე სხვადასხვა სივრცეში გადაგვაქვს. მაგალითად, პრემიერა ღია ცის ქვეშ შედგა, შემდეგ გორის ხელოვნების სახლში ვითამაშეთ, მერე - „მოძრაობის თეატრში". კონტაქტის ზონის გაფართოება გულისხმობს იმასაც, რომ ქალაქებიც მოვაქციოთ ერთმანეთთან დაკავშირების სივრცეში. ჩვენი ორგანიზაცია 2022 წელს ჩამოყალიბდა, შევკრიბეთ ჯგუფი შეზღუდული შესაძლებლობების და ტიპური განვითარების მქონე პროფესიონალი და არაპროფესიონალი მოცეკვავეებისგან. 2 წელზე მეტია, რეგულარულად ვმუშაობთ. ეს უკვე მესამე სპექტაკლია, რომელიც ერთად გავაკეთეთ. დასში სულ 12 მონაწილეა, თუმცა, ცხადია, ყველა სპექტაკლში თორმეტივე არ მონაწილეობს. „კონტაქტის ზონაში" 9 მონაწილე გვყავს. გარდა ამისა, პერიოდულად „ვორქშოპებს" და საგანმანათლებლო პროგრამებს ვატარებთ, რომლითაც გვინდა, უფრო მეტად გავზარდოთ ცნობადობა და მეტ პროფესიონალს მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი ინკლუზიური ცეკვის და თეატრის შესახებ. ვცდილობთ, დავაინტერესოთ ისინი. გვინდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები პროფესიონალი ხელოვანების ყურადღების ქვეშ მოექცნენ და დაინახონ მათი შესაძლებლობებიც, ის, რომ შეუძლიათ ამ ადამიანებთან ერთადაც მუშაობა, მათი შემოქმედებითი ნიჭის, ენერგიის, შესაძლებლობების დანახვა და გამოყენება. ამიტომაც ყოველ ჯერზე ვთანამშრომლობთ ახალ მსახიობთან, რეჟისორთან, ქორეოგრაფებსაც, მუსიკოსებსაც ვიწვევთ. უცხოეთიდან მოცეკვავეებიც ჩამოგვყავს, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. ამ კონკრეტულ სპექტაკლშიც გვყავს - ჯონათანი, რომელიც თბილისში ცხოვრობს, თუმცა შვეიცარიიდანაა. იმაში, რომ „კონტაქტის ზონას" შეუძლია ამდენ სივრცეში წარადგინოს ეს სპექტაკლი, ქალაქებს ეწვიოს, „ვორქშოპები" ჩაატაროს, მხარს გვიჭერს გერმანიის საელჩო საქართველოში. ყველა აქტივობა ადამიანის უფლებათა დაცვის პროექტის ფარგლებში ხორციელდება და მათი თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. მათ ჩვენი რამდენიმე პროექტი ნახეს და, როდესაც დაფინანსებისთვის მივმართე, აღმოჩნდა, რომ ძალიან დაინტერესებულნი ყოფილან ასეთი პროექტებით, მას შემდეგ კი რაც ნახეს, რისი გაკეთება შეგვიძლია და რამდენად მნიშვნელოვანია ამ საქმის კეთება, ჩვენი თანამშრომლობაც ძალიან კარგად წარიმართა. მინდა, მადლობა გადავუხადო მათ ამისთვის. ჩვენი ერთ-ერთი სურვილი ისიც არის, რომ არა მხოლოდ სპექტაკლი ვაჩვენოთ ბათუმელ მაყურებელს, არამედ დავიწყოთ თანამშრომლობა ადგილობრივ ხელოვანებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თემთან. ჩვენ უკვე გვაქვს ეს მოდელი შემუშავებული. მსგავსი მოდელით ქუთაისში, ზაფხულში, წარმატებულად განვახორციელეთ პროექტი. იგივე გვინდა გავიმეოროთ ბათუმშიც. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ სპექტაკლი, რომელიც ვაჩვენეთ, ჩვენი ჩატარებული „ვორქშოპიც" იმის ერთგვარი წინაპირობა შეიძლება გახდეს, რომ მომავალში უკვე ბათუმელი მონაწილეების ჩართულობით შეიქმნას სპექტაკლი. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სპექტაკლი ბათუმის ცირკში ვითამაშეთ, რომლის მესვეურებმაც ჩვენი მიმართვისთანავე დარბაზი სრულიად უსასყიდლოდ დაგვითმეს და ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ ასეთი სამოქალაქო ცნობიერებისთვის, - გვითხრა პროექტის ხელმძღვანელმა და დირექტორმა მაკა ჩხაიძემ.

- ჩემთვის, როგორც მოცეკვავისა და ქორეოგრაფისთვის, პირველი დასია, რომელთანაც ვმუშაობ. პირველად მქონდა შეხება შშმ პირებთანაც და ეს ჩემთვის საინტერესო გამოწვევა იყო. ორგანიზაცია „ინფორმმა" შემომთავაზა მათთან მუშაობა, თანამედროვე ცეკვის ტექნიკა უნდა მესწავლებინა. ვთვლი, რომ კარგი შესაძლებლობა იყო, სოციალურ თემაზე მემუშავა, ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გადამედგა და ჩემი საქმისთვისაც მეტი მნიშვნელობა მიმეცა. განსაკუთრებით საინტერესო იყო შშმ პირებთან ურთიერთობა, ისინი ძალიან დიდ ენერგიას გვაძლევენ, ასევე გვახსენებენ, რომ მეტი დრო უნდა დავუთმოთ და ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს. ინკლუზიური სპექტაკლის დროს ყველაფერი დაბალანსებული უნდა იყოს. ცხადია, დასში, შშმ პირებთან ერთად, სხვა ბავშვებიც არიან და ვცდილობდით, ერთმანეთთან ჯანსაღი ურთიერთობა ჰქონოდათ. ზოგადად, ბათუმში ჩამოსვლა სხვანაირ ენერგიას გმატებს. ყოველ ჩამოსვლაზე გვიმძაფრდება ოცნება, რომ აქ სახელოვნებო სივრცე გვქონდეს, სადაც უფრო ხანგრძლივი პერიოდით ჩამოვიდოდით და ვიმუშავებდით. კარგად გავიცნობდით აქაურ კულტურას, ერთმანეთს და შევქმნიდით მნიშვნელოვან ნამუშევრებს, - გვითხრა ქორეოგრაფმა ნათია ჩიკვაიძემ.

- „ინფორმთან" თანამშრომლობა დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწო. შემომთავაზეს მათთან რეჟისორად და კურატორად მუშაობა. ეს სპექტაკლი ჯგუფური ნამუშევარია, რომელიც სამი ქორეოგრაფის კონცეფციას მოიცავს. ჩემი როლი იყო ამ კონცეფციების, სამი ცალკეული ნამუშევრის ერთიან ქსოვილში მოქცევა. საინტერესო იყო ამაზე მუშაობა. სირთულე ის იყო, რომ რაღაც სპეციფიკის მოძებნა დამჭირდა, ისევე, როგორც ყველა სპექტაკლის შემთხვევაში. ვისთან ერთადაც უნდა მუშაობდე, ყველა მსახიობს თუ მოცეკვავეს თავისი ინდივიდუალური მახასიათებლები აქვს. ნებისმიერი არტისტისთვის მნიშვნელოვანია ასეთ პროექტში მონაწილეობა. როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობ და ეს შენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება, ბევრ რაღაცაზე გიწევს თავიდან ფიქრი: რამდენად სწორად არის ჩვენი ცხოვრება მოწყობილი? როგორ არიან ეს ადამიანები მოწყვეტილნი საერთო გარემოს?.. მუშაობის პროცესშიც იმდენად გადაიაზრებ თავიდან ყველაფერს, რომ ცხოვრებაშიც გაცილებით მიმღები, უკეთესი ხდები, ხვდები, რომ რეალურად არაფერი განსაკუთრებული არ სჭირდება ამ ურთიერთობას, უბრალოდ, უნდა მიიღო ისინი, როგორც ისინი გიღებენ. მიმაჩნია, რომ სახელოვნებო სივრცეებიც უფრო გახსნილი უნდა იყოს ინკლუზიური იდეებისთვის. სივრცე ადაპტირებული უნდა იყოს ეტლით მოსარგებლეებისთვის. ბათუმის ცირკში ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო, ყველანაირი კომფორტი გვქონდა, ძალიან მეგობრულად დაგვხვდნენ. მადლიერი ვარ იმ ჯგუფის, ვისთან ერთადაც ვიმუშავეთ, - გვითხრა რეჟისორმა დავით ხორბალაძემ.

- ბათუმში უკვე მეორედ ვარ, ძალიან გამიხარდა, სპექტაკლში რომ ვმონაწილეობ. როგორც მსახიობს, გამიადვილდა მაყურებელთან შეხვედრა. მომწონს, როცა ტაშს მიკრავენ. სპექტაკლში არა სიტყვით, არამედ ცეკვით და მოძრაობით უნდა გამოვხატო სათქმელი და ძალიან საინტერესოა. ძალიან კარგი იყო ნათია მასწავლებელთან მუშაობა, ყველაფერს ადვილად გვიხსნიდა. ახალი მოძრაობები, ილეთები ვისწავლე და მიხარია, - გვითხრა მსახიობმა მარიამ ბერიკელაშვილმა.



# „ვცდილობ, თითოეულ სტუმარს სიყვარული, აქ მეორედ სტუმრობის სურვილი გავაყოლო“

***შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაკლაკეთის უბან ოკისის მკვიდრმა მავილე აბუსელიძემ და ცინარეთელმა ნოდარ კეჟერაძემ ოჯახი ნახევარი საუკუნის წინ შექმნეს. ორივე 70 წელს გადაცილებულია, მთელი ცხოვრება ფიზიკურ შრომას შეალიეს***



- კეთილ ურთიერთობებზე დაფუძნებული ოჯახი გვყავს. ორი გოგონასა და ერთი ვაჟის მშობლებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ, რათა შვილებს ნორმალური გარემო ჰქონოდათ. სამივემ გაგვიმართლა. ახალგაზრდობის წლები კოლმეურნეობაში მუშაობას შევალიეთ. ნოდარს პროფესიული განათლება ჰქონდა, მაგრამ მცირე ხელფასზე ყოფნას ფიზიკური შრომა ამჯობინა. წლის დასრულება გვიხაროდა, ფიზიკურ ნაშრომს პრემია ემატებოდა... დაგროვილი თანხით ლაკლაკეთში სახლი და მამული შევისყიდეთ, ცინარეთიდან გადმოვედით და დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყეთ, რაც კიდევ უფრო მეტ ჯაფას ითხოვდა, თუმცა ამას არ ვთაკილობდით. ოთხი წლის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანოს წევრადაც ვიყავი არჩეული. რამდენიმე წელი მეცხოველეობის ფერმაშიც ვიმუშავეთ, - ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი მავილე აბუსელიძე-კეჟერაძემ.

**- ხშირია წარსულის კრიტიკა. თქვენ იმ დროს არ ემდურით?**

- კომუნისტური რეჟიმის, თუნდაც ღირებულებათა გადაფასების წლებში ოჯახს ფიზიკური შრომით ვარჩენდით. გასაჭირზე არასდროს გვიწუწუნია. მთა მერიაყელზე საზაფხულო სახლი შევიძინეთ. 10 მეწველ ფურს, 20-მდე თხას იქ ვაბალახებდით. მეცხოველეობისა და მემინდვრეობის ნამეტი პროდუქტები ბაზარზე გაგვქონდა. საადრეო კარტოფილს რომ ამოვიღებდით, სხვა კულტურებს ვთესავდით თითქმის 30 წლის განმავლობაში. ვაჟი ედნარი და რძალი გოგოლა ბერიძე სამსახურებში რომ დაინიშნენ და ჩვენც პენსიაზე გავედით, საკარმიდამო ნაკვეთის მეტი ნაწილი ვაზს დავუთმეთ. არ დამავიწყდება ის დღე, როცა ოჯახში შუახევის გამგებელი თამაზ დავითაძე გვსტუმრობდა, გაოცებული დარჩა, რომ მშვენიერი ცხოვრება ფიზიკური შრომით გვქონდა აწყობილი. თუ იშრომებ, არც დრო გახდება დასაძრახი და არც ადამიანებთან დარჩები პირშავად.

> ***„ის, რაც ჩემმა თაობამ გამოიარა, აღარ მსურს განმეორდეს. ქვეყანა რომ მშვიდობის, აღმშენებლობის, მოსახლეობის კეთილდღეობის გზას დაადგა, თითოეული ოჯახის, სოფლის მაგალითზეც იგრძნობა. ბაბუა ჯივან აბუსელიძე საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. მისთვის რომ გეთქვა, მთა ღომაზე ბეტონისსაფარიანი საავტომობილო გზა იქნებაო, მეზღაპრედ მოგნათლავდა***

**- დიდი ოჯახი, ვაზი ახლაც ენერგიულ შრომას ითხოვს...**

- წლებმა თავისი გაიტანა. ორი წელია, მემთეურობა მივატოვე. მთა მერიაყელიდან ლაკლაკეთის სიახლოვეს - მთა ღომაზე გადმოვბარგდით და კოტეჯიც ავიშენეთ, რომელსაც შვილი და რძალი პატრონობენ. მემთეურობა მივატოვე, მაგრამ ახლა საოჯახო სასტუმროს მენეჯერი ვარ, თანადაფინანსების პროგრამით მარანი და საოჯახო სასტუმრო მოვაწყვეთ. ლაკლაკეთში კი არადა, მთელ უჩამბის თემში პირველები ვართ, ვინც ეს ბიზნესი წამოიწყო. ვაზს ნოდარი და ედნარი უვლიან, სტუმრებთან მე და რძალი ვფუსფუსებთ. ადგილზე დაწურულ ღვინოს გვიქებენ, ნატურალურ მეცხოველეობის პროდუქტებს აგემოვნებენ. მართალია, ვაზი სათუთ მოპყრობას ითხოვს, მაგრამ მემთეურის შრომასთან ახლოსაც ვერ მივა. პირველი წლის მოსავალი კილოგრამები იყო, წელს კი 3,5 ტონაზე მეტი ყურძენი დავკრიფეთ. არის წლები, როცა მევენახეებს ვაზი უფუჭდებათ. ნოდარს აგროტექნიკოსის სპეციალობა მოხუცებულობაში წაადგა - იშვიათობაა, რომ ჩვენი ვაზი დაავადდეს. ლაკლაკეთში მოყვანილ ცოლიკაურს მაინც ბადალი არ მოეძებნება. ვაზთან ურთიერთობა მეც ავითვისე.

**- ამბობენ, ღვინის მარანიც პირველებმა მოაწყვეთ...**

- სიმართლეა. მარნის მოწყობა ედნარის დამსახურებაა. სამსახურებრივი დატვირთვის მიუხედავად (შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შუახევის ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანია), საოჯახო საქმეებს არ გაურბის. სოფელს შვილიშვილებსაც აყვარებს (დაჩი და თაკო ბათუმში სწავლობენ, დიტო კი ბაღის აღსაზრდელია).

**- საოჯახო სასტუმროში ვიზიტიორები გყავთ?**

- მეტწილად უცხოელები მოდიან. მათთან საურთიერთობოდ უცხო ენის სწავლაც დავიწყე. სტუმარი ჩვენს ოჯახს არასდროს მოჰკლებია. ჩემთვის ძვირფასია ის დღე, როცა ბოლნისისა და სხალთის ეპარქიების მთავარეპისკოპოსები, მეუფე ეფრემი და მეუფე სპირიდონი, მღვდელმსახურებთან ერთად, გვსტუმრობენ. დეკანოზ გიორგი ფუტკარაძეს ჩვენს ოჯახთან ნათელმირონობაც აკავშირებს. აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ჩართულობით, მთა ღომაზე ინფოტური გაიმართა, რომელშიც ჩვენი ოჯახიც მონაწილეობდა.

**- საოჯახო სასტუმრო რამდენად მომგებიანია?**

- ყველა საქმე გონივრულ მიდგომას ითხოვს. ზოგიერთების მსგავსად, სტუმარს „ზღაპრულ“ ფასებს არ ვუწესებთ. დიდი დრო აღარ რჩება 2025 წლის შემობრძანებამდე. უცხოელების ორი ოჯახი შობა-ახალი წლის გატარებას ლაკლაკეთში აპირებს. ვცდილობ, თითოეულ სტუმარს სიყვარული, აქ მეორედ სტუმრობის სურვილი გავაყოლო.

**- ოჯახის წევრები პოლიტიკაში არიან ჩართულნი. თქვენი პოზიცია როგორია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე?**

- ის, რაც ჩემმა თაობამ გამოიარა, აღარ მსურს განმეორდეს. ქვეყანა რომ მშვიდობის, აღმშენებლობის, მოსახლეობის კეთილდღეობის გზას დაადგა, თითოეული ოჯახის, სოფლის მაგალითზეც იგრძნობა. ბაბუა ჯივან აბუსელიძე საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. მისთვის რომ გეთქვა, მთა ღომაზე ბეტონისსაფარიანი საავტომობილო გზა იქნებაო, მეზღაპრედ მოგნათლავდა. მშვიდობის დამსახურებაა, რომ დაწყებულია მუშაობა მთა ღომას ოთხი სეზონის ტურისტულ ტერიტორიად გადასაქცევად. 2012 წლიდან მოყოლებული, მხარს ვუჭერ მმართველი პარტიის პოლიტიკას.

# მაქსიმუმი კეთდება ქალთა უფლებების დასაცავად

***ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მერიების ქალთა ოთახების ორგანიზებით, სხვადასხვა ფოკუსჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა***

შეხვედრებს ხელმძღვანელობდა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფი პროფესორ ინეზა ზოიძის ხელმძღვანელობით.

საჯარო ლექციებს „ფემინისტური საჯარო პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების საჯარო სექტორში“ მოჰყვა კვლევითი ხასიათის დისკუსია ფოკუსჯგუფებში. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა საჯარო პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ინდექსი; მოცემულობაზე მოქმედი ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები; გაიმართა მსჯელობა ქალთა დისკრიმინაციის ადგილობრივ ნიშნებზე, სტერეოტიპებისა და სტიგმების მექანიზმებზე.



ინეზა ზოიძეს კომენტარი შუახევში გამართული შეხვედრის შემდეგ ვთხოვეთ: „შუახევშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი და ქალთა ინტერესების გამტარებელი შეხვედრა იყო. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძემ, ქალთა ოთახის ხელმძღვანელმა თამილა ფუტკარაძემ, მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ საჭირო ინფორმაციები მოგვაწოდეს ამჟამინდელ მდგომარეობაზე. აქ მაქსიმუმი კეთდება ქალთა უფლებების დასაცავად“.



# ზღუდარები – სოფლის გზაზე

მდინარე ჩირუხისწყლის მარცხენა სანაპიროზეა სოფელი შუბანი. დასახლებაში მისასვლელი საავტომობილო გზა ციცაბო ფერდობზე გადის. რელიეფისა და გზის სივიწროვის გამო ტრანსპორტს მოცურების საფრთხე ემუქრება. ოდნავი დაუფიქრებლობა და ქვეითად მიმავალიც კი შეიძლება უფსკრულში გადაეშვას. მოსალოდნელი საფრთხისა და უბედური შემთხვევის პრევენციისთვის სოფელმა კარგ წამოწყებას დაუდო სათავე - გზის გასწვრივ ზღუდარების გაკეთება დაიწყეს.



- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ წელს შუბანზე 10 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ერთხმად მივიღეთ ზღუდარების გაკეთების გადაწყვეტილება. მხოლოდ 44 მეტრზე გვეყო ეს თანხა. სოფელი პროგრამით მობილიზებულ თანხას გაისადაც დაწყებული სამუშაოს გასაგრძელებლად გამოიყენებს, - გვითხრა სოფლის ხელმძღვანელმა ამირან ებრალიძემ.

**გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ**

# ანზორ კუდბას შემოდგომა...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



*ანზორ კუდბას - ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, საპატიო ბათუმელს, მკითხველის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მისი შემოქმედება და ცხოვრება, საზოგადოებრივი ღვაწლი თვალსაჩინოა და მუდამ მკითხველთა ინტერესს იწვევს. ამ ინტერესის გამოხატულებაა ეს ინტერვიუც.*

**- შემოდგომა ბევრი შემოქმედისთვის შთაგონების წყაროა, თქვენთვის? ფიქრები და განცდები, შემოდგომაზე რომ გიჩნდებათ...**

- შემოდგომა - ოქროცურვილი დრო, რომელსაც ზამთარი მოჰყვება - წლის დასასრული და აღიძრები შენც, რომ წლის დასაწყისშივე ჩაფიქრებული იდეა განახორციელო. ფიქრი აქ წელიწდეულის უმაღლეს საფეხურზე შემდგარა და ცად ამაღლებას ცდილობს, უკანაც უნდა მიიხედო და ერთი თვალის გადავლებით შეაფასო შენ მიერ განვლილი გზა და თან გადააფასო... შემოდგომა ხომ დაშვებული შეცდომების გამოსწორების ხანაა, ცდომილების ძლევის დრო... რომ დროს ჩამორჩენილმა ფეხს აუჩქარო, სულსაც კი გაუსწრო და წლევანდელი შენი ვალი და ვალდებულება დაუყოვნებლივ აღასრულო. ფიქრი შემოდგომისეული: ყველასა და ყველაფრისგან განსხვავებული... აღზევებული ბუნება: კაცი თავის ნაამაგარს იმკის, ჭირნახულით დამძიმებული დღეები, ბეღლები გადატვირთული და გალაღებული კაცი! გიხარია, რომ ადამიანი ხარ! კაცის ფიქრი ამ დროს: რა გაგიკეთებია? რის გაკეთება მოასწარი? ასეა მოაქჟამომამდე, გამომაფხიზლებს მეც, როგორც ყველას მოახლოებული დრო, შევიძრები, დროს რომ არ ჩამოვრჩე-მეთქი და მე რომ მეგონა, თითქოს ყოვლისშემძლე ვიყავი, თურმე სრულიადაც არ ყოფილა ასე: მეც წამოფორხილებია სადღაც ოდესღაც, დრო დამიკარგავს და ავჩქარებულვარ, რომ წამოვწეოდი წინ გაჭრილ დროს. ხომ გახსოვთ მოარული ნათქვამი - „დრო არ იცდისო“ და შურდულივით გავჭრილვარ წინ, წამოვწეოდი დროს და ფეხი ამეწყო მისთვის და აღარ ამოვვარდნილიყავი ცხოვრებისეული რიტმიდან, თურმე, როგორც ყველას, ვერც მე მივლია თანააჩქარებულად, მუყაით კაცს რომ შეჰფერის. შევძელი კი წლის დასაწყისში განზრახული გეგმის განხორციელება? ალბათ, ვერა და ამიტომაც ვჩქარობ, რადგან შემოდგომა ხომ ყველაზე სწრაფი დროა დროთა შორის?! გაიხედავ და... ზამთარი მოგვდგომია კარს! მიიხედ-მოიხედავ და... ხელში არ ჩაგდგომია მოცემული დრო? იმის ნახევარიც ვერ გაგიკეთებია, რის გაკეთებაც გივალდებულებია.

**- თქვენი დაბადების დღე ახლოვდება. როგორ ფიქრობთ, წელს იქნება ის თქვენთვის გამორჩეული?**

- დიახ, 21 დეკემბერს დავბადებულვარ, ათი დღე რჩება ახალი წლის დადგომამდე და შიში შემიპყრობს ერთგვარი, ვაითუ, ისე ვერ განვვლე მე ეს წელიწადი, ჩაფიქრებული რომ მქონდა? შემოდგომაა... ფოთოლცვენა - ყველაზე ლამაზი სანახაობა! და ამ დროს მეკითხებით, იქნება თუ არა წელს იგი გამორჩეული თქვენთვისო. აბა, მიიხედ-მოიხედეთ ირგვლივ. რას ხედავთ? სრული ქაოსი... სწორედ შემოდგომას, გალახულ შემოდგომას მაგონებს ჩვენი დღევანდელი ყოფა. ადამიანი იბრძვის უკეთესი მომავლისთვის, იბრძვის, რომ მიაღწიოს საწადელს, მაგრამ ვინ აძლევს ამის შესაძლებლობას? და ასეთ დროს, ამ ყოფაში როგორ იქნება ეს წელიწადი გამორჩეული ჩემთვის. მე ხომ ამ ქვეყნის შვილი ვარ და მტკივა მისი ტკივილი, მახარებს მისი სიხარული და გამიხარდება მისი აღდგომა და ცად ამაღლება!

**- ახლა, როცა თქვენს ცხოვრებას, განვლილ გზას თვალს ავლებთ...**

- იმის დრო ნამდვილად მაქვს, ჩემ მიერ განვლილ გზას შევავლო თვალი (მთელი წელი ხომ ამაზე ვფიქრობ). ოთხმოცს კაი ხანია გადავცდი, მაგრამ ოთხმოცს ზევით წლებს აღარ ვითვლი. უფალმა დიდი დღე მომცა და ბევრის შექმნაც დამავალა თუ დამაკისრა. როგორ ვასრულებ მის დავალებას? როგორც ადამიანებს გვჩვევია, მეც ვფლანგავდი დროს, რაც იგივეა, კარგავდე მას. ვერა! ვერ ამოვწურე თავი... ახლა რომ ვიწყებდე ცხოვრებას, ვფიქრობ, სხვანაირად დავიწყებდი, მაგრამ... ალბათ ასეთ დღეში აღმოვჩნდებოდი და... იწყება დროის სრბოლა! აჩქარება, აჩქარება გვმართებს ადამიანებს, რადგან დაკარგულ დროს ვერაფრით ავინაზღაურებთ.

**- თქვენი წიგნებიდან განსაკუთრებით რომელს გამოარჩევთ მკითხველთან ხელახალი შეხვედრისთვის და რატომ?**

- რომან „აპოკალიფსით“ შემოვდგი ფეხი მწერლობაში. მაშინაც არეული დრო იყო, ხალხს თავისი ღვთისნიერი გზა დაჰკარგოდა, მხედველობიდან ამოშანთოდა და... მომავალს ვერ ხედავდა. იყო ძმათა მკვლელი ომი, იყო სისხლისღვრა (ღმერთმა გვაშოროს დღეს).

**- მოდით, ახლა თქვენს რჩეულ, გახმაურებულ რომანზე „ფიქრის სავარძელზე“ ვისაუბროთ. სულიერი გადარჩენის გზად ამჟამად რა გესახებათ, როცა თვითჩაღრმავებული და მოფიქრალი ნოეს ტიპაჟი ამ რეალობამ დაამცრო?**

- მე განსაკუთრებით რომანის სახელწოდება მომწონს - მისი წაკითხვისთანავე შეგიპყრობთ ფიქრი საკუთარ თავზე. დიახ, „ფიქრის სავარძელი“ რომანის ყველა გვერდზე გვხვდება, კი არ დევს, მოძრაობს თითქოს და იგი მხოლოდ ერთი ადამიანისთვისაა განკუთვნილი. მასში ჩაჯდომა არა და, ჩასვენება მხოლოდ ერთ ადამიანს ეგების. რომანის მთავარი მოქმედი პირი (არა, გმირი არაა იგი) ნოე დიდ ძმათამკვლელ ომში მონაწილეობს... იქიდან დაბრუნებული სულიერად მკვდარია, მისთვის მომავალი აღარ არსებობს, იგი სულიერად დაავადებულია. ჰო, ჩაესვენება ამ თავის ზღაპრულ სავარძელში და ფიქრიც მაშინვე ქორივით დააცხრება თავს. იგი იმ ომზე ფიქრობს, რომელმაც ცხოვრება გაუუკუღმართა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს - აფხაზებსაც და ქართველებსაც...

**- თქვენი ნაწარმოების გმირები, მეტწილად, არაორდინარული ადამიანები არიან. ეს მეტაფორული სახე-ტიპები რას მიგვანიშნებენ?**

- თქვენ კარგად შენიშნეთ: „თქვენი გმირები, მეტწილად, არაორდინარული ადამიანები არიან“. ახლა რომ ვუფიქრდები, მომავლის ადამიანებს ვხატავ, ახალ სახეებს ვქმნი და ვცდილობ, გამოვიხსნა ისინი სულიერი ტყვეობიდან, რომ გაექან-გამოექანონ და შემოწოლილი ეს უხიაგი ფიქრები გაიზიარონ. და ერთიც კიდევ: ჩემი გმირები დღევანდელ ადამიანებზე უგულონი არიან. დღევანდელი ტრაგედიის მთავარი როლის შემსრულებლები არიან. კიდევ ერთხელ რწმუნდებიან, რომ ჩვენზე მეტად სცოდავენ და ამიტომაც თვითონვე უწოდებენ თავიანთ თავს დროიდან ამოვარდნილებს! მონანიებას მათთვის აზრიც არ აქვს. მეც მოსესავით განვიცდი, მეც მისებრ მიკვდება გული, მიცარიელდება სული და კითხვა მებადება ერთადერთი: საითკენ, საითკენ გაგიწევვია, ადამიანო?! და რა ვიღონოთ ამ დროს? ვაშოროთ მომავალ თაობას ჩვენეული ავი ზრახვანი, ჩვენი ცოდვა ჩვენვე ვზიდოთ და იმას ნუ გადავაბარებთ სათრევად, იმას ნუ ავკიდებთ ცოდვის ფუთასავით. და მაინც, მიიღწევა კი და როგორ მიიღწევა ესე ყოველი? რა თქმა უნდა, მიიღწევა: ჩვენ ჩვენი ცოდვები ვზიდოთ, არ ვცოდოთ და ჩვენი დანგრეული ქვეყანა ჩვენვე ავაშენოთ.

**- არ შემიძლია, არ გკითხოთ იმ ადამიანებზე, თქვენსა და, არა მხოლოდ, თქვენს გულსა და გონებას ნათელი რომ მოჰფინეს... ზვიად გამსახურდიას, ლადო სეიდიშვილს როგორ მოიგონებთ, ახლა როგორ დაგაკვალიანებდნენ?**

- ჯერ - ზვიად გამსახურდიაზე: უპირველესად, იგი ცნობილ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას შვილია და მეორე: ბატონ ზვიადს თავისი ცხოვრება ჰქონდა, ბავშვობიდანვე სამშობლოს სიყვარულზე, მის განთავისუფლებაზე ოცნებობდა. მას ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია, მან აღასრულა თავისი ვალი: მისი წყალობითაა, რომ საქართველო თავის უფალია და დღესაც იბრძვის თავისუფლებისთვის. როგორ დამაკვალიანებდა? გახსოვდეს, რომ ხელი მოვაწერეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს! მზად იყავ მის დასაცავად! ლადო სეიდიშვილი? ჩემი უფროსი სულიერი მეგობარი, ნათელი სული. მხოლოდ ასე თუ მოვიხსენიებ მის სახელს. აგერ, წინ მიდევს მისი რჩეული: ლექსები, სონეტები, პოემები, პიესა, ესეები - სიბრძნის წიგნი! ეს წიგნი არ ვიცი, როგორ გაქრა ჩემი ბიბლიოთეკიდან. ბოლოს მაინც შევბედე, თქვენი წიგნი დამეკარგა-მეთქი. ეწყინა, შევატყვე, მაგრამ არ მაგრძნობინა, ეწყინა და მე უფრო მეწყინა, ასე რომ ვაწყენინე ჩვენს ლადოს. მეორე დღეს მომიტანა წიგნი ასეთი წარწერით: „ანზორ კუდბას (ჩვენი სამეულის ერთ-ერთ წარმომადგენელს), კეთილი სურვილებით, ავტორისაგან (იმედია, ამას არ დაკარგავ)“... იმ სამეულში ვიგულისხმებით არჩილ ტოტოჩავა - ცნობილი მთარგმნელი, სტილისტი და გამოჩინებული მექართულე, თვითონ ლადო სეიდიშვილი და მე... ლადო - ჭეშმარიტი პოეტი და მგზნებარე მამულიშვილი, დიდი ადამიანი, რომელსაც უკან რჩება „კვალი განათლებული“. ბატონი ლადოს უმაღლესი მიღწევაა სონეტების გვირგვინი „კენტავრების მარულა“. მოაზროვნეც დიდია ლადო სეიდიშვილი. ყველაზე მეტად, როგორც მოაზროვნემ, თავის ესეებში გამოავლინა თავი... ჩვენ გენიოსის გვერდით ვიყავით და არ ვიცოდით. ახლა რას მეტყოდა? „არასოდეს შეწყვიტო სიტყვასთან ბრძოლა“. და კიდევ: „ამას ნუ დაკარგავ!“. ხომ ხედავთ, როგორ გავშინაურებულვარ ლადოსთან? ეს წიგნი მისიაა - მისი ნააზრევი, დიადი სული!

**- მკითხველს რას სთავაზობთ? ამჟამად რას წერთ?**

- სულ ვაპირებდი უჩვეულო ნაწარმოების დაწერას, რომელიც სულს აუფორიაქებდა მკითხველს, სათაური წინდაწინ მქონდა გააზრებული: „როცა იშლება ნაპირნი სულთა“. სულ ახლახან დავასრულე ეს წიგნი - მცირე რომანი, შეიძლება, უბრალოდ, ამბავი იყოს. იგი ნაბოკოვის „ლოლიტას“ წაკითხვისთანავე ჩავიფიქრე. ხომ დიდი ნაწარმოებია - დიდი მწერლის დიდი რომანი, მაგრამ რატომღაც არ მომწონს, თვითონ „ლოლიტას“ ტიპაჟი არ მომდის თვალში. ჩემთვის მიუღებელია ის, თუ როგორ მოექცნენ თვითონ ლოლიტას... ჩემი აზრით, არაა ადამიანური წიგნი! აქ უნებლიეთ, გამიელვებს: „არა უწყიან, რასა იქმნენ“. და კიდევ: ეს ბოლო რამდენიმე წელია, რაც ვწერ ჩემი სულის ისტორიას... და იმედია, ვერასოდეს დავასრულებ. სული ხომ მარადიულია, უკვდავი? უკვდავება კი ადამიანის ფიქრის უკანასკნელი საგანი. ამ ჩემი ეგრეთ წოდებული დღიურის პარალელურად ვწერდი ერთი გვარის ისტორიას, „ჟამთაღმწერელია“ მისი სახელწოდება. წიგნი ორი წიგნისგან შედგება: „ერთფეროვანი მრავალფეროვნება“ და „მრავალფეროვანი ერთფეროვნება“. ეს წიგნი ჩემი ცხოვრების გამართლებაა ან იმედგაცრუება. მისი არსი: მინდა ხარკი გადავუხადო იმ ჩვენს, უკვე ჩავლილ მეოცე საუკუნეს (დასაკარგად მაინც ვერ გამიმეტებია) და სწორედ ამიტომაც: მინდა გავდო დროის ხიდი წარსულ საუკუნესა და ახალ - ოცდამეერთე საუკუნეს შორის, რომელიც არასოდეს უნდა ჩაგიტყდეს. ამ ხიდზე შემდგარს შეეძლება უკან მიიხედოს, წაიკითხოს იმ დროს დაშვებული შეცდომები და ცდომილებები და სამომავლოდ გაითვალისწინოს: წინა საუკუნეში დაშვებული შეცდომები არ განუმეორდეს. ისე კი, ძალიან ვცდილობ, ფეხი ავუწყო ახალ საუკუნეს, მისი რიტმიდან არ ამოვვარდე და მეორედაც არ მომიკვდეს სული.

**- ციფრული ხანა... ტექნიკის სასწაული, ხელოვნური ინტელექტი გამოვიდა ასპარეზზე. ამ კონტექსტში, მწერლობის მომავალს როგორ უყურებთ?**

- ტექნიკის სასწაული... მაგრამ სადაც ტექნიკაა, იქ სულმა როგორღა გაძლოს? ამას რომ ვამბობ, რატომ არ გამეცინება ჩემს თავზე: სამყაროს ეგრეთ წოდებული წინსვლისა ვერაფერი გაგიგია, განზე გადექი: დროს ვერ შეაჩერებ შენ! და ამ დროს წიგნის ფურცლების შრიალი მომაფხიზლებს, ბოლო გვერდზე ვკითხულობ: მე ეპოქები გამოვიარე და ყოველთვის ვახლდები! განვახლდები ამჯერადაც. შეუძლებელია ჩემი დასასრული... მეც ხომ სამყაროსავით ვარ უსასრულობაში გაჯერებული! ადამიანი ქმნის ამ სასწაულს და წიგნსაც ხომ ადამიანი წერს, ახალ სამყაროს ქმნის, ჩვენი სამყაროს პარალელურ სამყაროს.

**- მწერლობის მისია და დანიშნულება... დღევანდელობაზე რას ფიქრობთ?**

- „ღმერთმა მისთვის გამომგზავნა, რომ წარვუძღვე წინა ერსა!“ - მწერლის მოვალეობაა, ერის, ადამიანის სული წაიკითხოს, დაინახოს მისი ჭეშმარიტი ყოფა: რა უჭირს და რა გაუჭირდება მომავალში. დაუამოს დათრგუნული სული, სულიერი საზრდო მიაწოდოს და შეუმსუბუქოს ცხოვრება. ისევ ვიმეორებ: წიგნი შეუცვლელია! ტექნიკა თავისთვის - ტექნიკასაც ვერაფერი შეცვლის. ტექნიკაც ხომ ადამიანის ტვინის გამონაჟურია? მაგრამ საითკენ, საითკენ მივდივართ? ეს გზა ტაძრამდე მიგვიყვანს? დღევანდელობაზე რას ვფიქრობ? როცა ქვეყანა ასე არეულია... საქართველოში ქაოსი სუფევს, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს... სწორედ ამ დროს უნდა აღიმაღლოს ხმა მწერალმა, მწერლობამ, განაწყენებული და გაბრაზებული ხალხის გულში ჩაიხედოს და სიმართლისა და თავისუფლების გზაზე შეაყენოს. წინ მიუძღოდეს და მის დროშაზე უნდა კიაფობდეს: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“. ვირწმუნოთ ჩვენც ღვთიური ხმა, რომელიც გვეუბნება: „არა კაც ჰკლა!“.

**- თაობა, რომელიც მოდის... როგორ ხედავთ მას და როგორ დააკვალიანებთ?**

- ყველა თაობას (ასე ყოფილა) თავისი დანიშნულება აქვს: უპირველესად, წინა თაობის მიერ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს, თან თავისი სიტყვაც თქვას. ამავე დროს მომავალი თაობა ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებზე სწავლობს, თან ამ დროს შესაძლოა, თვითონაც ცდებოდეს, რაც მისი მომავალი თაობის გამოსასწორებელი რჩება. ამიტომ: არ უნდა ვცოდოთ, გვახსოვდეს, ჩვენ წინ ჩვენი მომავალი თაობაა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობაა და პატივით უნდა მოვეკიდოთ მათ, სიცოცხლე არ გავუმწაროთ!

**- თქვენ - ჩვენი გაზეთის რჩეულ ავტორსა და მეგობარს, უძველეს მკითხველს სათქმელიც გექნებათ ჩვენთვის...**

- მე თქვენი დიდი ხნის გულწრფელი მეგობარი და მკითხველი ვარ! ერთად მოვაბიჯებთ, გადავლახეთ ზღვარი და ოცდამეერთე საუკუნეში შევაბიჯეთ, ციფრულ ხანაში ამოვყავით თავი. უკან საუკუნე დაგვრჩა თავისი პრობლემებით, ფიქრითა და ოცნებით სავსე, უკან მოგვძახის და გვიბიძგებს წინ, აღარ დავრჩეთ მასში, გავთავისუფლდეთ და მომავალს შევერკინოთ.

**- ახლა ერთი სასურველი და აუცილებელი შეკითხვა თავად დაუსვით საკუთარ თავს...**

- ასეთი კითხვა მრავალია, ერთი მათ შორის კი მართლაც გამორჩეული და სასურველია ჩემთვის: გრჩება კი უკან „კვალი განათლებული?!“.

**- სიტყვა, ფრაზა, რომელიც გსურთ, გასძახოთ სამყაროს...**

- გემახსოვრებათ მოარული ნათქვამი: „წამო, სდექ!“. ასე ხომ გაიყინე წამო?! დაიძარ ადგილიდან, იმოძრავე, რამეთუ მოძრაობაშია სიცოცხლე!

> ***„უფალმა დიდი დღე მომცა და ბევრის შექმნაც დამავალა თუ დამაკისრა. როგორ ვასრულებ მის დავალებას? როგორც ადამიანებს გვჩვევია, მეც ვფლანგავდი დროს, რაც იგივეა, კარგავდე მას. ვერა! ვერ ამოვწურე თავი... ახლა რომ ვიწყებდე ცხოვრებას, ვფიქრობ, სხვანაირად დავიწყებდი, მაგრამ... ალბათ ასეთ დღეში აღმოვჩნდებოდი და... იწყება დროის სრბოლა! აჩქარება, აჩქარება გვმართებს ადამიანებს, რადგან დაკარგულ დროს ვერაფრით ავინაზღაურებთ***

# ხათუნა ზოიძე – ადამიანების სიცოცხლის სადარაჯოზე

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*მედიცინის მუშაკის პროფესია ძალზედ რთული და საპასუხისმგებლოა - მას არ აქვს არც პროფესიული და არც ადამიანური შეცდომის დაშვების უფლება*

ჩვენი რესპონდენტი **ხათუნა ზოიძე** 30 წელია, რაც მედიცინის განხრით მუშაობს. ის 1995 წლიდან ბათუმის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სპეციალისტია, ასევე, ბათუმის მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ბავშვთა რეანიმაციისა და შპს „მედ ემერჯენსის" ქირურგიული განყოფილების მედდაა.

მედიცინით ბავშვობიდან დაინტერესდა და დის კვალს გაჰყვა. დღემდე პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმეს, იცის, რომ მცირედი შეცდომაც კი შესაძლოა, ფატალურად დასრულდეს.

ჩვენ მას სამუშაო ადგილზე ვესტუმრეთ და ვკითხეთ, თუ რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს კარგ ექთანს, გარდა პროფესიული ცოდნისა.

- მთავარია, პაციენტთან თბილი და სწორი მიდგომა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშაობა ბავშვებთან გიწევს. პაციენტს ისე უნდა უყურებდე, როგორც საკუთარ შვილს. ხომ გაგიგიათ, ავადმყოფს ექიმის ენა მოარჩენსო?! ასევე უნდა დაელაპარაკო ბავშვის მშობლებსაც, უნდა დაამშვიდო, რადგან მათ ის ნერვიულობა და სტრესიც ჰყოფნით, რასაც შვილის ცუდად ყოფნის დროს განიცდიან, - გვითხრა ხათუნა ზოიძემ.

ჩვენს რესპონდენტს, როგორც თავად აღნიშნა, რთული დღის გრაფიკი აქვს და დღის რუტინას წინასწარ, ცხადია, ვერ განსაზღვრავს. ამის მიუხედავად, მაინც ცდილობს, რომ ძალა შეინარჩუნოს.

- ბავშვს რომ სჭირდები, ღმერთი გაძლევს ძალას, გააკეთო ის, რაც მას გამოჯანმრთელებაში დაეხმარება. რაც უფრო მეტი საქმე გაქვს, მით უფრო აქტიური ხარ. ჩვენი საქმე ასეთია - უცებ შემოჰყავთ რეანიმაციაში ბავშვი და მაქსიმუმი უნდა გააკეთო, რომ ამ მდგომარეობას გაუმკლავდე, - ამბობს იგი.



ქალბატონი ხათუნა პაციენტებთან სწორი კომუნიკაციის მნიშვნელობაზეც გვესაუბრა.

- რეანიმაციაში 18 წლამდე მოზარდებს ვიღებთ და მათ გააზრებული აქვთ ჯანმრთელობის მოსალოდნელი საფრთხეები. ჩვენ, პირველ რიგში, პაციენტებს ვამშვიდებთ და არ ვაგრძნობინებთ, რომ რთული მდგომარეობაა. მედპერსონალი ამ მომენტში ერთმანეთს თვალებით ვახვედრებთ, რისი გაკეთებაა საჭირო და ერთმანეთთან ისე ვსაუბრობთ, რომ პაციენტი არ შევაშინოთ, - აღნიშნა მან და ის ემოციური შემთხვევები გაიხსენა, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას რომ ნახა.

- როდესაც პაციენტს რთული მდგომარეობა აქვს, ემოციური ფონი ჩვენშიც იმატებს. ჩემს პრაქტიკაში ერთ-ერთ რთულ შემთხვევად მახსენდება დღე, როდესაც მე-7 სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი შემოიყვანეს, იგი უკვე გარდაცვლილი იყო. როდესაც მამა რეანიმაციაში ამოვიდა და შვილს მიუახლოვდა, ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგეთ და ვერ შევაჩერეთ... მამასთან ერთად მთელი მედპერსონალი ვტიროდით და განვიცდიდით. ეს ემოციურად ძალიან რთული სანახავი და გასააზრებელი იყო. ასევე, მინდა გავიხსენო შემთხვევა, რომელიც კარგად დასრულდა. პატარა ბავშვმა უცხო სხეული გადაყლაპა, ნეკროზი განუვითარდა და ურთულესი მდგომარეობა ჰქონდა. როდესაც საოპერაციოში შევიყვანეთ და ფილტვიდან უცხო სხეული ამოვიღეთ, ბავშვმა ამოისუნთქა და მასთან ერთად - ჩვენც. იმ ბედნიერების ემოციის სიტყვებით გადმოცემა გამიჭირდება, მაგრამ საოცარი გრძნობაა, როდესაც აანალიზებ, რომ ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინე, - გვითხრა რესპონდენტმა.

ახლო წარსულში მთელი მსოფლიო კოვიდპანდემიას ებრძოდა, აჭარაში კი ბრძოლის წინა ხაზზე ხათუნა ზოიძეც იდგა. პანდემიის გამო ქვეყანაში გამეფებული შიშის მიუხედავად, იგი არაფერს უშინდებოდა.

- ოჯახებში შევდიოდი პირადი აღჭურვილობით, თუმცა იმის შიში არასდროს მქონია, რომ მეც გადამედებოდა, მთავარი მხოლოდ ჩემს პაციენტებზე ზრუნვა იყო, - იხსენებს ხათუნა ზოიძე. კარგად მახსოვს, ქობულეთში, ერთ-ერთ ოჯახში, სადაც 6 წევრი ერთდროულად იყო კოვიდით დაავადებული, მარტო შევედი, სხვები კი გარეთ მელოდებოდნენ. აჭარის ტელევიზიამ მაშინ ჩემზე მოამზადა რეპორტაჟი, როგორც გმირ ექთანზე, რისიც მადლიერი ვარ. კოვიდთან ბრძოლა მართლაც ცოცხალი ომი იყო და ჩვენ ყველა ერთად, მთელი მსოფლიო ამ ომგამოვლილები ვართ.

დამეთანხმებით, მედიკოსების შრომა დაფასებული უნდა იყოს, ისინი ხომ პასუხისმგებლები არიან ჩვენს სიცოცხლეზე, თუმცა, სამწუხაროდ, ასე არ არის.

- ჩვენი სამუშაო ძალიან საპასუხისმგებლო და შრომატევადია. ამის მიუხედავად, არ გვაქვს საკმარისი ანაზღაურება, რაც ძალიან სამწუხაროა. სამაგიეროდ, პაციენტები გამოხატავენ ჩვენ მიმართ მადლიერებას და არ გვივიწყებენ. სხვათა შორის, ბევრი პაციენტის მშობელი დღეს უკვე ჩემთვის ახლო ადამიანია. ვვოცნებობ, რომ ჩვენი შრომა და გათენებული ღამეები სათანადოდ დაფასდეს. ამასთან, ჩემი უდიდესი ოცნებაა, ყველა პაციენტი რეანიმაციიდან გამოჯანმრთელებული წავიდეს. და კიდევ, ყველამ მშვიდობიან და გამთლიანებულ ქვეყანაში ვიცხოვროთ, - გვითხრა დასასრულ ჩვენმა რესპონდენტმა.

ქალბატონი ხათუნას სამუშაო ადგილიდან ისე ვერ წამოვიდოდით, რომ მასთან დაკავშირებით კოლეგის აზრი არ მოგვესმინა.

**ხათუნა რუსია, ბავშვთა რეანიმაციის უფროსი მედდა:**

- ხათუნა ძალიან მეგობრული, კომუნიკაბელური და შრომისმოყვარე ადამიანია. ყოველთვის შედეგებსა და საკუთარ განვითარებაზეა ორიენტირებული. სიმართლე გითხრათ, მასში ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ არ გაურბის პასუხისმგებლობას და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს. ექთნის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ექიმისგან მიღებული დავალების სწორად და სწრაფად შესრულება. პაციენტთან ურთიერთობისას მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინება გვიწევს, ხათუნა კი მშვიდი, გაწონასწორებული მიდგომით ამას წარმატებით ართმევს თავს.

***„პატარა ბავშვმა უცხო სხეული გადაყლაპა, ნეკროზი განუვითარდა და ურთულესი მდგომარეობა ჰქონდა. როდესაც საოპერაციოში შევიყვანეთ და ფილტვიდან უცხო სხეული ამოვიღეთ, ბავშვმა ამოისუნთქა და მასთან ერთად - ჩვენც. იმ ბედნიერების ემოციის სიტყვებით გადმოცემა გამიჭირდება, მაგრამ საოცარი გრძნობაა, როდესაც აანალიზებ, რომ ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინე***

# ახალი, მასშტაბური პროექტი – აჭარის რეგიონში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ბათუმის სამედიცინო აკადემიამ, აშშ-ის საელჩოს პროგრამის მხარდაჭერითა და 73 ათასი აშშ დოლარის გრანტით, დაიწყო ახალი, მასშტაბური პროექტი აჭარის რეგიონში, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სტუდენტების დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, რეგიონში ეკონომიკური და კარიერული პოტენციალის ზრდის ხელშეწყობას***

*აღნიშნული პროექტი აერთიანებს ინოვაციურ მიდგომებს, მათ შორისაა გასვლითი შეხვედრები და ტრენინგები მაღალმთიან სოფლებში. ამ ინიციატივის ფარგლებში, ბათუმის სამედიცინო აკადემია გაამყარებს პროფესიული განათლების სისტემის სანდოობას და შექმნის ხელმისაწვდომ პროფესიულ კონსულტაციას, კარიერული განვითარების სერვისებსა და სტაჟირების ანაზღაურებად პროგრამებს სტუდენტებისთვის. პროექტის დეტალებზე ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის მოადგილე* ***შორენა უზუნაძე*** *გვესაუბრება.*



**- რას ისახავს მიზნად პროექტი და ვინ იქნება მასში ჩართული?**

- პროექტი მიზნად ისახავს აჭარის რეგიონში პროფესიული განათლების სტუდენტების დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ამისთვის დაგეგმილია პროფესიული კონსულტაციისა და კარიერული განვითარების სერვისების შექმნა, ასევე, ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა, რაც საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციით განხორციელდება. პროექტში ჩართული იქნებიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სამუშაოს მაძიებლები, რომლებიც მზად არიან შეიძინონ ახალი უნარები და გამოიყენონ ეს შესაძლებლობა საკუთარი კარიერის განსავითარებლად, ასევე - პროფესიული განათლების ინსტრუქტორები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, რომელთა დახმარებით პროექტი რეგიონში პროფესიული განათლების მნიშვნელობას უფრო ნათელს გახდის. პროექტის პარტნიორებს შორის არიან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები, დასაქმების სააგენტოები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, ერთობლივად, ხელს შეუწყობენ დასაქმების მეტი შანსის შექმნას.

**- პროექტის ფარგლებში რა ტრენინგები და შეხვედრებია დაგეგმილი?**

- დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება პროფესიული ტრენინგები. ექთნებისთვის, ფარმაცევტებისა და კბილის ტექნიკოსებისთვის შემუშავდება მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები, რომლებიც მათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებაში დაეხმარება. ასევე, დიდი ყურადღება მიექცევა მასწავლებლების გადამზადებას. პროფესიული განათლების ინსტრუქტორები გაივლიან ტრენინგებს, რომლებიც მათ დაეხმარება თანამედროვე სასწავლო მეთოდების დამკვიდრებაში. პროექტი მოიცავს კარიერულ კონსულტაციას, რომელიც ჩატარდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. გარდა ამისა, ჩატარდება რეგიონული ფესტივალები და მასტერკლასები, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, გაიცნონ სხვადასხვა პროფესიული მიმართულება, დაესწრონ პრაქტიკულ ტრენინგებს და მონაწილეობა მიიღონ საჯარო დემონსტრაციებში.

**- რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის აღნიშნული პროექტი?**

- პროექტი მრავალი თვალსაზრისით სასარგებლო იქნება როგორც ინდივიდებისთვის, ისე მთლიანად რეგიონისთვის. სტუდენტები შეიძენენ ახალ უნარებს, რომლებიც მათ შრომის ბაზარზე ინტეგრაციაში დაეხმარება. რეგიონი, თავის მხრივ, იხილავს პროფესიული განათლების პრესტიჟის ზრდას და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას, რაც საზოგადოებაში გენდერული სტიგმების დაძლევასა და ეკონომიკური განვითარების ახალ შესაძლებლობებს შეუწყობს ხელს. სამუშაოს მაძიებლებისთვის პროექტი გახდება მხარდაჭერის წყარო, რომელიც დაეხმარება მათ სწორი კარიერული მიმართულებების განსაზღვრასა და შრომის ბაზარზე ადგილის პოვნაში.

**- რა საკითხები იქნება წამოწეული წინა პლანზე?**

- პროექტი განსაკუთრებით ხაზს გაუსვამს პროფესიული განათლების მნიშვნელობას. მისი მიზანია საზოგადოებაში პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლება და არსებული ნეგატიური სტიგმების დაძლევა. ასევე, ყურადღება გამახვილდება დასაქმების ხელშეწყობაზე. სპეციალიზებული ტრენინგებისა და კონსულტაციების მეშვეობით სტუდენტები მიიღებენ იმ უნარებს, რომლებიც მათ დასაქმებაში დაეხმარება. გენდერული ბალანსი პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტია: გათვალისწინებულია, რომ ქალებს და მამაკაცებს თანაბარი შესაძლებლობები მიეცეთ პროფესიული განათლების მიღებასა და განვითარებაში. გარდა ამისა, პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტების უნარების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც რეგიონის ეკონომიკის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

**- ამჟამად რა ეტაპზე ხართ?**

- ამჟამად პროექტი საინიციაციო ეტაპზეა. ამ დროის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტნიორებისა და ექსპერტების მობილიზაციას, საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნას და განრიგის ფორმირებას. პარალელურად, იგეგმება რეგიონული საინფორმაციო შეხვედრები და მოსამზადებელი ტრენინგები, რომლებიც საფუძველს ჩაუყრის შემდგომ აქტივობებს.

**- პროექტი სტუდენტების სტაჟირებასაც მოიცავს?**

- დიახ, მოიცავს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამებს, რაც სტუდენტებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. ისინი პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან პარტნიორ ორგანიზაციებსა და სამედიცინო დაწესებულებებში. ეს პროცესი მათ საშუალებას მისცემს, რეალურ სამუშაო გარემოში გაიუმჯობესონ უნარები და კარიერული განვითარებისკენ პირველი ნაბიჯები გადადგან.

**- სამომავლოდ რას გეგმავთ?**

- პროექტის სამომავლო გეგმები მოიცავს კარიერული სერვისების სრულფასოვანი სტრატეგიის შემუშავებას და მათ დანერგვას, კერძოდ, პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ასევე, რეგიონში პროფესიული განათლების ფესტივალებისა და კამპანიების გაფართოებას, რაც საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას შეუწყობს ხელს. დაგეგმილია ახალი, გრძელვადიანი პროგრამების დამატებაც, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და რეგიონში დასაქმების შესაძლებლობებს კიდევ უფრო გაზრდის.

# „პირველი ავტოგრაფი“ - მეოთხედ

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ გაიხსნა, რომლის ავტორი, დამფუძნებელი და ორგანიზატორი შემოქმედებითი ორგანიზაცია „არტ პორტალია“. ფესტივალის დირექტორი მიხეილ გაბაიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი კი პეტრე ჩარგეიშვილი გახლავთ***

მაყურებელმა პირველი, მეორე და მესამე ფესტივალის მსვლელობის კოლაჟი იხილა, რომელმაც ემოციური ნოტები შემოიტანა. სპეციალურად ფესტივალისთვის ჩაწერილი ცნობილი მსახიობების, რეჟისორების, მომღერლებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ხელოვანების ინტერვიუებიც მოგვასმენინეს ეკრანიდან, სადაც ფესტივალის მნიშვნელობაზე საუბრობდნენ და მასში მონაწილე ახალბედა მსახიობებს ამხნევებდნენ. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, მაყურებლის წინაშე ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრ „მთიებთან“ არსებული ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერი“ წარსდგა სპექტაკლით - „ამირანის ბავშვობა“. სპექტაკლი არასაკონკურსო იყო, მეორე დღიდან კი საფესტივალო ნამუშევრების საპრემიერო ჩვენებები დაიწყო. ერთი კვირის განმავლობაში მაყურებელი ყოველდღიურად ოთხ თეატრალურ დადგმას ნახავს. ჟიურის წევრები არიან - რეჟისორი ლევან წულაძე, დრამატურგი თამარ ბართაია (თავმჯდომარე), მსახიობი ეკა ჩავლეიშვილი, ასევე, თანატოლი ჟიურის 1 წევრი. წელს ფესტივალის მასშტაბები გაზრდილია და მასში, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილ ათობით დასთან ერთად, საფრანგეთიდან საკვირაო სკოლის შემოქმედებითი ჯგუფი მონაწილეობს.

დამსწრეთ მიესალმა ქალაქ ბათუმის მერის მოადგილე სოფო ხალვაში.

- მივესალმები ფესტივალ „პირველ ავტოგრაფს“, დამსწრე საზოგადოებას. უკვე მესამე წელია, ქალაქ ბათუმის მერია არის ამ ფესტივალის ოჯახის წევრი, რაც ძალიან მახარებს, რადგან ჩემთვის, პირადად, ეს ფესტივალი გამორჩეული და განსაკუთრებულია. მას ღირსეული ადგილი უჭირავს ქალაქ ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში. წლიდან წლამდე „პირველი ავტოგრაფი“ გაიზრდება და ჩვენც აუცილებლად ვიქნებით მის გვერდით. ორგანიზატორებს და მთელ ფესტივალს ძალიან დიდ წარმატებას ვუსურვებ, - თქვა სოფო ხალვაშმა.



- პირადად ჩემთვის ძალიან ემოციური დღეა. შემოქმედებითი გუნდი ფესტივალზე მუშაობას როცა ვიწყებდით, ზუსტად ვიცოდით, რომ ეს შედეგი გვექნებოდა. მოხარულები ვართ, რომ დაახლოებით 50-მდე მოხალისე ბავშვი გვყავს. ყველა წელს ფესტივალი მთავარ პრიზს - არლეკინს გადასცემს ადამიანს, რომელსაც ბავშვების მიმართ განსაკუთრებული დამსახურება აქვს. პირველ საფესტივალო წელს - საბავშვო ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ნომინაციაში „დიდი ბავშვი“, მთავარი პრიზი გადავეცით მწერალ გურამ პეტრიაშვილს, მეორე საფესტივალო წელს - კომპოზიტორ დავით მალაზონიას, მესამე საფესტივალო წელს - მსახიობ გოგა პიპინაშვილს, ხოლო წელს, ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, გადავცემთ ფილმ „ფეოლას“ (რეჟისორი - ბაადურ წულაძე) მთავარი როლის შემსრულებელ გიგლა ცინცაძეს (ფილმის პერსონაჟი - ხვედელიძე), - განაცხადა ფესტივალის დირექტორმა მიხეილ გაბაიძემ.

- ეს ფესტივალი არაჩვეულებრივი წამოწყებაა, რადგან თეატრი ბავშვობიდან იწყება და სწორედ ამ პერიოდიდან იხსნება ამ შენობის კარი. რამდენადაც ვიცი, საკმაოდ დიდი შედეგი მოიტანა ამ ფესტივალმა, რადგან მაყურებელმაც მოიმატა თეატრში. კარგად ვიცნობ ფესტივალის დამფუძნებლებს, ამ შესანიშნავ ხალხს და თავდადებულ ადამიანებს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა ამ ფესტივალში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა რახან ჟიურიში ვარ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გამოვარჩიო ერთი რომელიმე დასი. ალბათ, ცოტათი რთული იქნება. რასაც ვუყურებ, შესანიშნავი, ძალიან ლამაზი ბავშვები გაჩნდნენ ჩვენს სამშობლოში, ძალიან გალამაზდა ჩვენი ერი, ბედნიერი ვარ ამით. იმედი მაქვს, კარგ ნაწარმოებებს ვიხილავთ, - გვითხრა რეჟისორმა ლევან წულაძემ.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლები იმართება სხვადასხვა ადგილას, ესენია: ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის დიდი და მცირე სცენა, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი (დახურვის ცერემონია).

მაყურებელმა უკვე იხილა სპექტაკლები: „ვერის უბნის მელოდიები„ (ბათუმის №18 საჯარო სკოლა), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის მინდია აბაშიძის სახელობის №1 საჯარო სკოლა), „რატომ?! რისთვის?!“ (ბათუმის №2 საჯარო სკოლა), „დელ პიეროს მაისური“ (ბათუმის მუნიციპალიტეტის №20 საჯარო სკოლა), „ბოშები“ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქვემო ახალშენის საჯარო სკოლა), „დიდრო“ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლა), „სამოთხის გვრიტები“ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა), „სიზმარა“ (ქობულეთის სოფელ სახალვაშოს საჯარო სკოლა), „ივანანამ რა ჰქმნა?!“ (ბათუმის „კავკასიის ბიზნესსკოლა“), „ანანურისკენ“ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა), „ჰელადოსი“ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლა), „კაცია-ადამიანი?!“ (შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლა), „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა), „ვერის უბნის მელოდიები“ (ბათუმის №15 საჯარო სკოლა), „მუზები ქმნიან შედევრებს“ (ბათუმის სკოლა „ნიკე“).

ფესტივალი დინამიკურად მიმდინარეობს. მასში ჩართული სხვადასხვა ასაკის მოხალისეები სიხარულით აკეთებენ თავიანთ საქმეს. ყოველდღიურად თავიანთი სკოლების დასების საგულშემატკივროდ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები იკრიბებიან და მათ გასამხნევებლად აპლოდისმენტებს არ იშურებენ. საამაყოა, რომ ასეთი ფესტივალი ჩვენს ლამაზ ქალაქში ტარდება და ამდენ ახალგაზრდას უხარებს გულს. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის „მცირე სცენაზე“ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის სპექტაკლს „კაცია ადამიანი?!“ (ილია ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით) დავესწარით. დასის, სახელწოდებით - „გავქაჩავთ“, სამხატვრო ხელმძღვანელი და ინსცენირების ავტორი მირზა სათმანიძე გახლავთ. მიუხედავად ცუდი ამინდისა, სპექტაკლმა სრული ანშლაგით და ოვაციების ფონზე ჩაიარა. იუმორისტულად დადგმულმა სპექტაკლმა ჟიურის წევრები და მაყურებელი კარგ განწყობაზე დააყენა. სპექტაკლის მსვლელობისას აპლოდისმენტები არ წყდებოდა. ეს იყო საღამო, რომელმაც გულგრილი არავინ დატოვა. სპექტაკლის დასასრულ, ფესტივალის დამფუძნებლებისგან სკოლის დირექტორს, მსახიობებსა და რეჟისორს, ისევე როგორც ფესტივალის ყველა მონაწილეს მადლობის სიგელები გადაეცათ.

შეგახსენებთ: ფესტივალი 24 ნოემბერს დაიწყო და 1 დეკემბერს გამარჯვებულთა დაჯილდოებით დასრულდება. მასში აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში არსებული თეატრალური დასები მონაწილეობს.

ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერები არიან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მერია.

# კონცერტი ჯაკომო პუჩინის მიძღვნა

***ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრისა და ოპერის სოლისტების მონაწილეობით, ჯაკომო პუჩინის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა***

საღამოზე მუსიკოსებმა მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებული იტალიური ოპერის შედევრები შეასრულეს.

- კონცერტმა ძალიან დიდი სიამოვნება მოგვანიჭა, ვინაიდან გაჟღერდა ცნობილი არიები და დუეტები პუჩინის ძალიან ცნობილი და წარმატებული ოპერებიდან, რომლებიც დღესაც იდგმება მსოფლიოს ყველა წამყვან საოპერო თეატრში. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ საღამოს ნაწილი ვიყავი და წავიყვანე ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, - აღნიშნა რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორმა ნატალია ორაგველიძემ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პუჩინის გარდაცვალებიდან 100 წლისთავზე პირველად შესრულდა არია ოპერა „ტაბაროდან“.



# ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო მუშაობას შეუდგა

პირველი გვერდიდან

- პირველ რიგში, მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო გუნდის თითოეულ წევრს გამოცხადებული ნდობისთვის. ვეცდები, მათი იმედები გავამართლო. ასევე, მინდა წარმატება ვუსურვო არჩეულ თავმჯდომარეს, ბატონ დავით გაბაიძეს და კომიტეტის ყველა ხელმძღვანელს, - აღნიშნა გოგი ფუტკარაძემ.

აღსანიშნავია, რომ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა პროტესტის ფონზე მიმდინარეობდა. იქ შეკრებილი ადამიანები აცხადებდნენ, რომ როგორც საქართველოს პარლამენტი, ისე აჭარის უმაღლესი საბჭო არალეგიტიმურად შეიკრიბა და ისინი გასული არიან იურიდიული და სამართლებრივი სივრცის მიღმა.

- ჩვენ უკან ვხედავთ უმაღლესი საბჭოს შენობას, სადაც უკანონოდ იმყოფებიან „ქართული ოცნების“ დეპუტატები. ვიცით, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და, ასევე, „ქართული ოცნების“ მიერ მოხდა ხმების უპრეცედენტო ქურდობა, დღეს კი ამ ქურდობის საფუძველზე ფიქრობენ, რომ ახდენენ იმ უმაღლესი საბჭოს ლეგიტიმაციას, რომელიც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. დღეს ჩვენი მხრიდან მოხდება როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე უმაღლესი საბჭოს სიების ჩახსნა, რაც პროცედურულად აუცილებელია და შემდგომ, რა თქმა უნდა, გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები. ჩვენ ხმების ქურდების გვერდით უბრალოდ არ დავსხდებით. აუცილებლად მივაღწევთ იმას, რასაც ჰქვია რიგგარეშე, ახალი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რასაც ითხოვს ქართველი ხალხი და ცივილური სამყარო, - განაცხადა კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრმა გენო თებიძემ.

ჟურნალისტებთან კომენტარი ასევე გააკეთა პარტიიდან „გახარია საქართველოსთვის“ უმაღლესი საბჭოს სიის პირველმა ნომერმა გოჩა გუგუნავამ და აღნიშნა, რომ ისინი არ აპირებენ „ქართულ ოცნებას“ შეუქმნან ლეგიტიმაცია.

- თავიდანვე განვაცხადეთ, რომ არ ვაპირებთ ამ მასკარადში მონაწილეობას და „ქართული ოცნებისთვის“ ლეგიტიმაციის მინიჭებას. რაც შეეხება სიების ჩახსნას, აღნიშნულ საკითხში მოვიქცევით ისე, როგორც ჩავთვლით საჭიროდ. ჩვენ არ ვაპირებთ არავის ჭკუაზე სიარულს - ოპოზიცია იქნება ეს თუ მმართველი გუნდი, - განაცხადა გოჩა გუგუნავამ.

გაზეთ „აჭარასთან“ კომენტარი გააკეთა „კოალიცია ცვლილებებისთვის“ წევრმა მირდატ ქამადაძემაც. მისი თქმით, დაირღვა არჩევნების კონსტიტუციით გარანტირებული პრინციპი - ფარულობა, შესაბამისად, მიაჩნია, რომ ეს არჩევნები არ შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს.

შეგახსენებთ, აჭარის საკანონმდებლო ორგანოში 5 საარჩევნო სუბიექტი შევიდა. მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა:

„ქართული ოცნება“ - 13 მანდატი; „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ - 4 მანდატი; „გახარია საქართველოსთვის“ - 2 მანდატი; „კოალიცია ცვლილებისთვის“ - 1 მანდატი; „ძლიერი საქართველო“ - 1 მანდატი.

***ცნობისთვის:*** *უმაღლესი საბჭო შედგება პროპორციული წესით, 4 წლის ვადით არჩეული 21 დეპუტატისგან.*

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000,
ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა
გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/11/24, 17 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „შთაგონება სამყაროდან მოდის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***ნათია ხუციშვილი*** *ბათუმში ცხოვრობს და აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. ის მხატვარია, რომელმაც მოკლე დროში თავისი ხელოვნებით საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, მის პერსონალურ გამოფენებს ბათუმსა და თბილისში არაერთი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, ხოლო ბათუმში, სასტუმრო „ლე მერიდიანში“ გამართულ პერსონალურ გამოფენაზე განსაკუთრებულად საინტერესოდ და თვითმყოფადად წარმოჩნდა.*



**- ძალიან გაბედული განცხადება გამოაქვეყნეთ - გამიცანით, გამომიწერეთ, დაინტერესდით ჩემით... და ეს მოხდა ხელოვნების სამყაროში პირველი ნაბიჯებისთანავე. როგორია ადამიანების რეაგირება და, საერთოდ, რატომ უნდა დაინტერესდნენ თქვენით?**

- როდესაც ხელოვნებას გულწრფელად ემსახურები, ეს აუცილებლად დააინტერესებს საზოგადოებას, უნებურად ექცევი იმ სოციუმში, სადაც ყოველთვის განიხილავენ შენს შემოქმედებას, შეგაქებენ, ხან გაგაკრიტიკებენ, უნდა შეგეძლოს ამის მოსმენა, მიღება. მთავარია, მხატვარმა ხატოს, რასაც გული ჰკარნახობს, სათქმელი გამოხატოს ფუნჯით. ჩაიხედონ გულის სიღრმეში შემფასებლებმაც. ფუნჯის ხელში დაჭერიდან სულ მცირე დროში აღმოვჩნდი ყურადღების ცენტრში. 2021 წლიდან ვარ საქართველოს მხატვართა კავშირის და საქართველოს მხატვართა ლიგის წევრი. აქტიურად ვმონაწილეობ სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენაში საქართველოსა თუ საზღვარგარეთ. ახლახან ჩემი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოეწყო ბათუმში, სასტუმრო „ლე მერიდიანში“. შარშან ასევე მქონდა პერსონალური გამოფენები აჭარის ხელოვნების მუზეუმსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ძალიან მიხარია, რომ დამთვალიერებლებიდან ვიღებ დადებით ემოციებს, რაც დიდ სტიმულს მაძლევს და მნიშვნელოვანია შემოქმედისთვის.



**- ამჟამად რას აკეთებთ, სად ხართ, ვინ არიან თქვენი თანამოაზრენი და გულშემატკივრები?**

- ვცხოვრობ ბათუმში, მყავს ქმარ-შვილი, რომლებიც ჩემი პირველი გულშემატკივრები არიან. არაერთხელ დავრწმუნდი - კარგი ადამიანები თუ გყავს გვერდით, შენთვის შეუძლებელი თითქმის არაფერია. სწორედ მათ მომცეს უდიდესი მოტივაცია, დავუფლებოდი ხელოვნებათმცოდნეობას და გავხდი ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტი. ვფიქრობ, პროფესიული განვითარება აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, რადგან ჩვენი ცხოვრება და მომავალი დიდწილად განათლებაზეა დამოკიდებული.

**- რამ გიბიძგათ ხელში ფუნჯის აღებისკენ... თქვენი შთაგონების წყარო?**

- ბავშვობიდან ვხატავდი, ალბათ, როგორც ყველა მოყვარული. პანდემიის პერიოდში მეუღლემ სამხატვრო მასალები მაჩუქა და ეს იყო ტილოზე ხატვის პირველი მცდელობა. გაგიკვირდებათ და, ჩემთვისაც აღმოჩენა იყო, რომ შემეძლო ასე ხატვა. მას შემდეგ არ გავჩერებულვარ. შთაგონება სამყაროდან მოდის - ეს შეიძლება იყოს ბუნება, გარემო ფაქტორები, ადამიანები, პირადი ემოციები...

**- როგორ ხედავთ საკუთარ და ქვეყნის მომავალს?**

- როგორი იქნება ჩვენი მომავალი, არავინ ვიცით, თუმცა ამ ბოლო დროს ამეკვიატა: მინდა, ვხატო აფხაზეთში, ზღვის სანაპიროზე, ფეხით შემოვიარო სოხუმის ქუჩები და... თითქოს ვიწამე კიდეც, რომ ეს შესაძლებელია არცთუ ისე შორეულ მომავალში. ღმერთმა ქნას, დავიბრუნოთ მალე! მჯერა, სიკეთე, სიყვარული, მუდმივი განვითარება, ცვლილებების სურვილი, ნაბიჯ-ნაბიჯ სწორი გადაწყვეტილებები იქნება ჩვენი წარმატების საფუძველი.

**- როცა ხელოვნების ისტორიას ეცნობით... ანუ მხატვრები, რომლებიც თქვენი მუდმივი თანამგზავრები არიან.**

- ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ალტამირას და ლასკოს გამოქვაბულებში აღმოჩენილმა ნახატებმა მოახდინა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება. ხელოვნებას დრო და საზღვრები არ გააჩნია. თანაარსებობს ადამიანთან ერთად. თუნდაც რენესანსის გიგანტი მხატვრები ავიღოთ: ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი საუკუნეები იმეფებენ კიდევ. ყველა ეპოქას ჰყავს გენიოსი მხატვრები, ვის გავლენასაც განიცდი. განა შეიძლება არ ალგაფრთოვანებდეს ფიროსმანი, ახვლედიანი, გუდიაშვილი ან არ იამაყო თანამედროვე ქართველი მხატვრის ბრუნო ვეფხვაძის წარმატებით, რომლის ერთ-ერთი ნამუშევრის „რომაული გაზაფხული“ ციფრული ასლი კოსმოსში გაიგზავნა?

**- პოეზია და მუსიკა - თქვენს ცხოვრებაში...**

- უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს პოეზია. მიყვარს ლექსების კითხვა, რომლებსაც სიღრმე და ემოციური დატვირთვა აქვს. რაც შეეხება მუსიკას, ის ჩემი ყოველდღიური თანამგზავრია, განსაკუთრებით, მუშაობისას. ვუსმენ კლასიკური მუსიკის კომპოზიტორებს - მოცარტს, შოპენს, ბახს... ასევე, გია ყანჩელის მუსიკალურ შედევრებს.

**- წელიწადის რომელი დრო გირჩევნიათ? როდის ხართ უფრო შთაგონებული და სახატავად განწყობილი?**

- გაზაფხული. სხვაგვარად უხარია სულსა და გულს. თითქოს ჰარმონიულად არის დაკავშირებული სიცოცხლესთან, დაბადებასა და ახლის დასაწყისთან, განსაკუთრებულად მავსებს დადებითი ემოციებით და უფრო შემოქმედებითს მხდის.

**- „სიყვარული აგვამაღლებს“ - ამ სენტენციასთან თქვენი დამოკიდებულება...**

- სიყვარული ნამდვილად აგვამაღლებს, რადგან იგი ძალასა და მოტივაციას გვაძლევს, გავხდეთ უკეთესები. ყველაზე მეტად სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანს. ჩემს პირად ბედნიერებას, პირველ რიგში, სწორედ საყვარელი ადამიანები ქმნიან. ბედნიერ ადამიანს სურს, რომ სხვაც ბედნიერი იყოს. ჰუმანურობა, კეთილშობილება, სიყვარული გადაარჩენს ადამიანს და ჩვენს ქვეყანას.

**- ხელოვნური ინტელექტი გამოვიდა ასპარეზზე...**

- ხელოვნური ინტელექტი, ზოგადად, ციფრული სივრცე, ინოვაციაა ჩვენი დროის. ხელოვნური ინტელექტი ქმნის ახალ შესაძლებლობებს როგორც შემოქმედებისთვის, ისე ტექნოლოგიებისთვის. ციფრული ნახატებიც გახდა თანამედროვე ხელოვნების ნაწილი და ეს მისასალმებელია, თუმცა კომპიუტერული ნამუშევარი არ უნდა შევადაროთ ადამიანის ხელით შექმნილ უმაღლეს კლასიკურ ხელოვნებას. არადა, სამწუხაროდ, ციფრული ნახატები ზოგჯერ უფრო ძვირადაც ფასობს საერთაშორისო ბაზარზე.

**- ამ საუკუნეში ცხოვრება რომ გხვდათ წილად, ეს, როგორც შემოქმედს, რა გამოწვევების წინაშე გაყენებთ?**

- ამ საუკუნეში, სადაც ტექნოლოგიები მუდმივად წინ მიიწევს, შემოქმედისთვის უფრო ადვილია, იყოს პროდუქტიული, რეალიზებული. ასევე, ეს არის შანსი, ჩვენი ხელოვნება გავხადოთ მრავალფეროვანი, ინტერნაციონალური, მარტივად დავათვალიეროთ ამა თუ იმ ეპოქის მხატვრის გენიალური ნამუშევრები. დღეს სამხატვრო მასალებიც მრავალფეროვანი, ხელმისაწვდომია და ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია მხატვრის ყოფისთვის, ამიტომ, რა თქმა უნდა, მიხარია, ამ ეპოქაში რომ ვცხოვრობ.

**- ბათუმი - თქვენი გადასახედიდან.**

- ის ჩემთვის არის ქალაქი, რომელიც შთაგონებას, სტიმულს, სიყვარულს მჩუქნის, ხან წვიმიანი, ხანაც მზიანი ულამაზესი პეიზაჟები. ზღვა განსაკუთრებულად მიყვარს. ძველი ბათუმის ქუჩები გამოირჩევა საოცარი არქიტექტურული ნაგებობებით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ქალაქს და ფეხით მისი შემოვლის სურვილს მიჩენს. მოკლედ - ბათუმი ჩემთვის თავად არის ხელოვნების ნიმუში.

**- ნატვრა, რომლის ახდენა გსურთ...**

- პირველი, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობა, საყვარელი ადამიანების კარგად ყოფნა, ჩემი ქვეყნის და ხალხის ბედნიერება. თუ ცხოვრება მომცემს შესაძლებლობას, ძალიან მინდა მოგზაურობა მსოფლიოში, სხვადასხვა ერის უძველესი საკულტო ნაგებობების ნახვა, თუნდაც მათგან შემორჩენილი ნანგრევების. ჩემს ნახატებშიც შეხვდებით არარსებულ ტაძრებს, რომლებიც ჩემი წარმოსახვით დავხატე და თავისი ისტორია აქვს თითოეულს. ზოგადად, მაინტერესებს ადამიანის შინაგანი სამყაროს მრავალფეროვანება, აზროვნება, ტრადიციები, რისი სწამდათ, რას ეთაყვანებოდნენ. ყველაზე უკეთ ამას ალბათ, წმინდა ადგილებზე შეიცნობ და აცნობიერებ, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და როგორებად გვინდა დაგვიმახსოვრონ.

